საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 11 მაისი. 2018 წ. №97 (8498), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

გულშემატკივარს აღარ ეკითხებით?!

ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის გადაყენება ახალ პოლიტიკურ სკანდალად იქცა!

გუშინ სასტუმრო „ბილტმორში“ გამართული ძიუდოს ფედერაციის რიგგარეშე საანგარიშო ყრილობის შესახებ მომზადებულ სტატიას ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მე-10 გვერდზე გაეცნობით, მაგრამ, თემის აქტუალობისა და აგორებული სკანდალის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, ამ „სპორტულ-პოლიტიკური“ საჭირბოროტო საკითხის თაობაზე გაზეთის პირველ გვერდზეც ვილაპარაკოთ.

უპირველესად, გაოცებით და გულისტკივილით უნდა ითქვას, რომ აქამდე არავინ დაინტერესებულა, როგორი პოზიცია აქვს გულშემატკივართა მთელ არმიას. დიახ, განვლილი ცხელი დღეების განმავლობაში ეკრანიდან თუ გაზეთების ფურცლებიდან ვინ არ იწონებდა თავს ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით – არიქა, ჩააქრეთ ქართული ტატამის ირგვლივ აბრიალებული ცეცხლიო და საამისოდ საკუთარ „კომპეტენტურ“ რეცეპტსაც გვთავაზობდა, მაგრამ მათ შორის წამლადაც ვერ წააწყდებოდით სპორტის, ძიუდოს ქომაგთა გულისთქმას.

საილუსტრაციოდ თუნდაც გუშინდელი ტელეეთერიც კმარა, სადაც საპარლამენტო უმრავლესობის წევრები, მათ შორის, თამაზ ნავერიანი, მიხეილ ყაველაშვილი (სხვათა შორის, შესაბამისი კომიტეტის თავკაცი) და ბიზნესმენი, ძიუდოს ეროვნული ფედერაციის სპონსორი ცეზარ ჩოჩელი ამა თუ იმ ფორმით საპრეზიდენტო სავარძელში საფუძვლიანად მოკალათებულ დავით ქევხიშვილს უცხადებდნენ მხარდაჭერას.

ჰოდა, ბალანსის დასაცავად და საიმისოდ, რომ ტატამის ქართველმა დიდოსტატებმა თავი დაუმსახურებელ იზოლაციაში არ იგრძნონ, თავს უფლებას ვაძლევთ განვაცხადოთ: მოქმედ ჩემპიონებს ზურგს მხოლოდ დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს პირველი ოლიმპიური გვირგვინოსანი ზურაბ ზვიადაური კი არ უმაგრებს, არამედ ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილიც.

დიახ, ვიდრე საბოლოო ვერდიქტი გამოცხვება, რომელმაც კვანძის ობიექტურად გახსნას უნდა შეუწყოს ხელი, ცალ კარში თამაში და სხვადასხვა წონით კატეგორიებში ასპარეზობა ამთავითვე უნდა გამოირიცხოს.

გია პლატონიშვილი

17 მაისს სამებაში საყოველთაო ჯვრისწერა გაიმართება

17 მაისს სამების საკათედრო ტაძარში მორიგი საყოველთაო ჯვრისწერა გაიმართება. საყოველთაო ჯვრისწერა საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების ინიციატივით თბილისის გარდა, რეგიონებშიც გაიმართება. ჯვრისწერა პატრიარქის კურთხევით ჩატარდება. წყვილებს ჯვარს მღვდელი დასწერს, შემდეგ კი იმავე დღეს ან მომდევნო საკვირაო წირვის შემდეგ ოჯახებს პატრიარქი დალოცავს.

საყოველთაო ჯვრისწერა პატრიარქის კურთხევით უკვე ორი წელია, მიმდინარეობს და ამ დროისთვის ჯვარი დაახლოებით 500-მდე წყვილმა დაიწერა. 17 მაისი ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა. **2014 წელს ილია მეორემ 17 მაისი ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღედ გამოაცხადა.**

ბრავო, მერკელი!, ვავა - ტრამპი!

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი მიიჩნევს, რომ ევროპამ თავის უსაფრთხოებაზე თავად უნდა იზრუნოს და მხოლოდ ამერიკის იმედად არ უნდა იყოს.

ევროპის ქვეყნებმა საკუთარი ბედი უნდა აკონტროლონ. მერკელმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც აშშ ირანთან შეთანხმებიდან გავიდა.

ჰორსტ ზეეჰოფერი: **რამდენად სწორი იყო საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის დაწესება?.. მე ყოველთვის ამის წინააღმდეგი ვიყავი**

8

გერმანიიდან საქართველოს 68 მოქალაქე გამოაძევეს!

არალეგალური მიგრაციის პრევენციის დამატებითი ღონისძიებები

მთავრობამ არალეგალური მიგრაციის პრევენციის მიზნით დამატებით რეგულაციები მოამზადა. ცვლილებები პრემიერ-მინისტრმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე მინისტრებს გააცნო. საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, იცვლება რეგულაცია – საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მოსაპოვებლად უცხოელი ბოლო 10 წლის განმავლობაში უნდა ცხოვრობდეს, დღეს ეს ვადა 6 წელს შეადგენს.

„ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია უცხოელებზე ბინადრობის უფლებასთან დაკავშირებით კანონში ცვლილებების პაკეტი. რამდენიმე დღის წინათ მქონდა ამ საკითხის განხილვა იუსტიციის მინისტრთან ერთად, ეს საკითხი ცდება მხოლოდ მთავრობის პრეროგატივას და ეს არის მთლიანად სახელისუფლებო გუნდის განსახილველი საკითხი. სწორედ ამიტომ, განხილვას ესწრებოდნენ მინისტრები. იუსტიციის სამინისტრო მთავრობის დღევანდელ სხდომაზე წარმოადგენს ცვლილებათა პაკეტს, რომლის მიზანი არალეგალური მიგრაციის პრევენციის დამატებითი მექანიზმების შემოღებაა. აღნიშნული ცვლილებები უცხოელებზე დროებითი ბინადრობის მოწმობის გაცემის პროცედურაში სიახლეებს ითვალისწინებს და მათი შემუშავების მიზეზი უცხო ქვეყნის ზოგიერთი მოქალაქის მხრიდან, რაც, ცოტა არ არის, არსებული რეგულაციების არაკეთილსინდისიერად გამოყენება გახლავთ. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელი ფორმალურად ითხოვს თავშესაფარს და პარალელურად ითხოვს ბინადრობის ნებართვის მიღებას, ან ქვეყნიდან გასვლის ვალდებულების გადავადებას სასამართლოში მისი მონაწილეობით, მიმდინარე საქმის წარმოების მოტივით, ამის შემდეგ კი სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართავს ბინადრობის გაცემის მოთხოვნით, ასევე იღებს მოკლევადიან, „ცე“ კატეგორიის ვიზებს და შემდეგ ითხოვს ბინადრობის ნებართვას. ინოვაციურ მიდგომასთან გვაქვს საქმე მათი მხრიდან. აღნიშნული ცვლილების შემდეგ კი მოხდება კანონის არაკეთილსინდისიერად გამოყენების პრევენცია და აღმოფხვრა.

12 წლამდე იზრდება დროებითი ნებართვის მიღების ვადა. დღეს მისი მაქსიმალური ხანგრძლივობა არის 6 წელი. ამასთან, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეს არა აქვს ქვეყანაში მუდმივად დარჩენის მოტივი, 6 წლის გასვლის შემდეგ ის კვლავ მიიღებს დროებითს და არა მუდმივ ნებართვას“, – განაცხადა პრემიერმა.



„საპარტნიორო ფონდისა“ და ისრაელის კომპანია ELBIT CYCLONE-ის ერთობლივი თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების მწარმოებელი ქარხანა (ATC) გაიხსნა

საქართველოში გუშინ ამიერკავკასიაში პირველი თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების მწარმოებელი ქარხანა ATC (Aero-Structure Technologies Cyclone) **გაიხსნა. ქარხნის გახსნის ოფიციალურ ცერემონიალს საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, ადგილობრივი ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსისა და ბიზნესწრეების, ასევე, ისრაელის მთავრობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**

თვითმფრინავის კომპოზიტური ნაწილების მაღალტექნოლოგიური ქარხნის (ATC) გახსნის ოფიციალური ცერემონიალის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საწარმოს მთავარი დანადგარი, ავტოკლავი აამუშავა, საზეიმო გახსნის შემდეგ კი დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა. საპატიო სტუმრების წინაშე სიტყვით წარდგნენ „საპარტნირო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი დავით საგანელიძე, „Elbit Systems Cyclone“-ის წარმომადგენელი რან კრილი და ისრაელის ელჩი საქართველოში შაბთაი ცური.

სამოქალაქო თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების მწარმოებელი ქარხანა (ATC) პირველ პროდუქციას 2019 წლის დასაწყისში გამოუშვებს, მას შემდეგ, რაც სერტიფიცირებას გაივლის. საქართველოში წარმოებული პროდუქციის მომხმარებლები მსოფლიო ავიაინდუსტრიის მსხვილი მოთამაშეები იქნებიან, ისეთები, როგორებიც არიან „ბოინგი“, „ბომბარდიერი“, „ეარბასი“ და სხვა ლიდერი კომპანიები.

ქარხანაში წარმოებული პროდუქციის 100% ექსპორტზე იქნება ორიენტირებული, რაც დადებითად აისახება ქვეყნის სავაჭრო ბალანსზე. სრული წარმადობის მასშტაბზე გასვლის შემდეგ (მე-5 წელი) საწარმოს წლიური გაყიდვები 60 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბებს.

„საპარტნიორო ფონდისა“ და ისრაელის კომპანია Elbit Cyclone-ის ერთობლივი პროექტის საინვესტიციო ღირებულება 93 მილიონი აშშ დოლარია. კომპანიაში დღეისათვის 80-მდე თანამშრომელია დასაქმებული. ქარხნის სრულად დატვირთვის შემდეგ კი 300 ადამიანის დასაქმება იგეგმება. საწარმოში სამოქალაქო თვითმფრინავების კომპოზიტური დეტალები, მათ შორის, აეროდინამიკური ზედაპირი, კარი და სხვა ნაწილები დამზადდება. მაღალტექნოლოგიური საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამოქალაქო თვითმფინავების კომპოზიტური ნაწილების მწარმოებელი ქარხნის (ATC) ტექნიკური აღჭურვის პროცესი დასრულებულია. პარტნიორთა შეთანხმებით, ქარხანა თანამედროვე, უმაღლესი სტანდარტების შესაბამისი სერტიფიცირებული სამშენებლო მასალით აშენდა. საწარმოს კედლებისთვის და სახურავისთვის „საპარტნიორო ფონდისა“ და შპს ICES-თან ერთობლივად დაფუძნებული შვილობილი კომპანია „პანექსის“ მიერ წარმოებული სენდვიჩ-პანელები გამოიყენეს.

სახელმწიფო იქნება ძალიან მტკიცე და შეუვალი ნარკოტრაფიკისა და ნარკორეალიზატორებთან დაკავშირებით

სახელმწიფო იქნება ძალიან მტკიცე და შეუვალი **ნარკოტრაფიკის, ნარკორეალიზატორებთან მიმართებაში,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„მინდა, აღვნიშნო შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალიან პოზიტიური მუშაობა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდის განმავლობაში ნარკორეალიზატორებთან მიმართებაში. სამწუხაროდ, ჩვენ გვქონდა რამდენიმე შემთხვევა, როცა ამ უბედურების გამო ახალგაზრდები დავკარგეთ. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ სახელმწიფო იქნება ძალიან მტკიცე და შეუვალი ნარკოტრაფიკის და ნარკორეალიზატორებთან მიმართებაში. მინდა, მადლობა გადავუხადო შს სამინისტროს და მის გუნდს გაწეული სამუშაოსთვის“, — განაცხადა პრემიერმა.

მადლიერების მცირედი (ძალიან დაგვიანებული) გამოხატულება!

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს პენსია გაუორმაგდებათ, — ამის შესახებ განცხადება პრემიერ-მინისტრმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე გააკეთა:

„გუშინ იყო 9 მაისი, გამარჯვების დღე და გვქონდა შეხვედრა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან. ძალიან ამაღელვებელი და ემოციურად დატვირთული დღე იყო. ისინი არიან ღვაწლმოსილი გმირები, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე არ დაიშურეს თავიანთი ქვეყნის გადასარჩენად და, რა თქმა უნდა, იმსახურებენ განსაკუთრებულ პატივისცემას და არიან განსაკუთრებული ადამიანები, უკვე ძალიან ხანდაზმულები... გუშინ პრაქტიკულად მთელი დღე გავატარე მათთან. მთავრობის სხდომამდე მქონდა თათბირი ძირითადად ეკონომიკურ ბლოკთან და მინდა, გამოვაცხადო ჩვენი მხრიდან ნაბიჯი, რომელიც გარკვეულწილად ჩვენი ქვეყნის მადლიერებას გამოხატავს ამ ადამიანების მიმართ. მინდა, რომ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს გავუორმაგოთ პენსია. სამწუხაროდ, ისინი ძალიან ცოტანი დარჩნენ და ჩვენ ნამდვილად გვმართებს, რომ თითოეულ მათგანს განსაკუთრებული ყურადღება ვაჩვენოთ ჩვენი სახელმწიფოსი. ეს იქნება მათდამი მადლიერების მცირედი გამოხატულება“, — განაცხადა პრემიერმა.

საქართველო და რუმინეთი მჭიდროდ თანამშრომლობენ

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე სოფიო ქაცარავა და რუმინეთის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის წევრები საქართველოში რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს რადუ-ლივიუ ჰორუმბას შეხვდნენ. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, რუმინეთის ხელისუფლება დაინტერესებულია საქართველოსთან მრავალმხრივი თანამშრომლობა იქონიოს კულტურის, ტურიზმის, პირდაპირი ავიამიმოსვლის, ენერგეტიკის და სავაჭრო-ეკონომიკური მიმართულებებით.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის სოფიო ქაცარავას განცხადებით, საქართველოსა და რუმინეთს ბევრი საერთო პრიორიტეტი აკავშირებს. **„აღსანიშნავია, რომ რუმინეთი საქართველოს საგარეო მისწრაფებებზე, რასაც ევროკავშირში და ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაცია წარმოადგენს, აქტიური მხარდამჭერია, რაც საერთაშორისო ფორმატის ფორუმებზე არაერთხელ დადასტურდა“,** — აღნიშნა სოფიო ქაცარავამ. მისივე განცხადებით, რუმინელ დიპლომატთან შეხვედრისას საუბარი სამომავლო თანამშრომლობის პრიორიტეტებს და მაღალი დონის ორმხრივი ვიზიტების გამართვის საკითხებსაც შეეხო.

„პრეზიდენტობის ყველა კანდიდატმა ნათლად უნდა უთხრას საზოგადოებას, იქნება ის მორჩილი, თუ იქნება თავისუფალი“

პრეზიდენტობის ყველა კანდიდატმა ნათლად უნდა უთხრას საზოგადოებას, იქნება ის მორჩილი, თუ იქნება თავისუფალი, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ჟურნალისტების კითხვაზე, საქართველოს მომავალი პრეზიდენტი უნდა შევიდეს ავლაბრის რეზიდენციაში თუ უნდა გადავიდეს ათონელის ქუჩაზე მდებარე შენობაში.

„მე რამდენიმე თვის წინათ ვთქვი, რომ ეს იქნებოდა საარჩევნო თემა. ვფიქრობ, პრეზიდენტობის ყველა კანდიდატმა ნათლად უნდა უთხრას საზოგადოებას, იქნება ის მორჩილი, თუ იქნება თავისუფალი“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

„ოცნების“ ყრილობის მთავარი მოვლენა თავმჯდომარედ ბიძინა ივანიშვილის არჩევა იქნება!

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განცხადებით, „ქართული ოცნების“ ყრილობა პომპეზური არ იქნება.

— მთავარი მოვლენა ამ ყრილობის, რა თქმა უნდა, იქნება თავმჯდომარის არჩევა და ბიძინა ივანიშვილი არის დასახელებული ერთადერთ კანდიდატად. მე მგონი, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი გადაწყვეტილება, რასაც მივიღებთ პარტიის ყრილობაზე, რაც მე პირადად, მგონია, რომ იქნება პარტიისთვის ახალი და ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი, რაც ქვეყნის სიმტკიცისთვის და უკეთესი პერსპექტივისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება. არავითარი პომპეზურობა არ იქნება. იქნება ძალიან საქმიანი კონკრეტული დღის წესრიგით დადგენილი ყრილობა, რომლის მთავარი მოვლენა ის არის, რომ ახალი თავმჯდომარე ავირჩიოთ, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის ადგილსამყოფელი კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს

„ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი სალომე სამადაშვილი ფიქრობს, რომ საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის ადგილსამყოფელი კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს.

— სასურველია, რეზიდენციის საკითხზე გადაწყვეტილება საკანონმდებლო ორგანომ მიიღოს, რადგან ეს გადაწყვეტილება იმისდა მიხედვით არ უნდა იცვლებოდეს, თუ ვინ არის ქვეყნის პრეზიდენტი. ეს სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხია და ადეკვატური ნაბიჯი იქნებოდა ის, რომ საკანონმდებლო ორგანომ განსაზღვროს, სად იქნებოდა რეზიდენცია მიუხედავად იმისა, ვინ იქნება პრეზიდენტი. თუ სახელმწიფო ვართ, სახელმწიფო ინსტიტუტების საკითხი საკანონმდებლო ბაზით უნდა განისაზღვროს“, — განაცხადა სამადაშვილმა.

გამარჯვების დღე და კვერცხისროლია ლიბერასტები

9 მაისს საქართველოში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე აღინიშნა.

ვაკის პარკში შეიკრიბნენ ვეტერანები, პოლიტიკოსები, ხელისუფლების წარმომადგენლები და ყველა ის ხალხი, ვისთვისაც ძვირფასია ყავისფერ ჭირზე გამარჯვება, ვისაც სურს, რომ კიდევ ერთხელ გაიხსენოს ამ ყველაზე საშინელ ომში დაღუპული გმირები.

გაიხსენოს ის ქართველები, რომელთა უმთავრესი იდეა ის იყო, რომ საკუთარი მკერდით შეეკრათ დერბენტი და დარიალი. შეეკრათ და „ყვითელი გველებისთვის“ არ მიეცათ თავიანთი სამშობლოს, ოჯახებისა და მომავლის თავისუფლების იავარყოფის უფლება.

სამწუხაროდ, იმ „ყვითელი გველების“ სულიერმა შთამომავლებმა, იმათ, ვისაც სჯერა რომ თურმე ჰიტლერს სპეციალური ვაგონები ჰქონდა გამზადებული ქართველებისთვის ბავარიული ლუდისა და ჰამბურგული ძეხვის გამოსაგზავნად, არ მოისვენეს და სხვადასხვა სახის პროვოკაციებზე წავიდნენ.

წავიდნენ იმის გამო, რომ პირველ რიგში თავიანთი პატრონებისთვის ეჩვენებინათ თავიანთი ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი სული და მოხუცი ხალხისთვის შეიძლება ბოლო დღესასწაული ჩაემწარებინათ.

სამოქალაქო მოძრაობის „ძალა ერთობაშია“ ლიდერის დავით ქაცარავას ინფორმაციით, „ძალა ერთობაშიამ“ ვაკის პარკთან პროტესტი საბჭოთა სიმბოლიკისა და საბჭოთა დროშების მიტანის გამო გამოთქვა, რომლითაც ვალერი კვარაცხელია და მისი თანამოაზრეები უცნობი ჯარისკაცის საფლავთან იმყოფებოდნენ. მისი თქმით, ამ დროს ვალერი კვარაცხელიამ შეაგინა ერთ-ერთ ქალბატონს, ხოლო მისი სამოქალაქო მოძრაობის მხარდამჭერმა ნიკა შაყულაშვილმა კვარაცხელიას ამის საპასუხოდ კვერცხი ესროლა.

საკმაოდ საინტერესოა ის, თუ რად უნდოდა ნიკა შაყულაშვილს ვაკის პარკში კვერცხი? რატომღაც არა მგონია, რომ ის ვეტერანების ტაფამწვარით გამასპინძლებას აპირებდა. ე.ი. ის წინასწარ გამიზნული პროვოკაციისთვის მივიდა და კვერცხებიც მიიტანა.

ეს კიდევ არაფერი.

ნაციონალური მოძრაობის წევრმა გიორგი რუხაიამ, „რ2“-ის ეთერით ინციდენტის კომენტირების დროს, ვეტერანებს და იმათ გულშემატკივრებს „ღორები“ უწოდა.

საოცარია, მაგრამ რუხაია არ დაუკავებიათ! ძალიან სასიამოვნო იყო ბატონი გრიშა ონიანის თავშეკავება. მან უაღრესად ზუსტი და კორექტული პასუხი გასცა საქართველოს მოუშორებელი ჭირის ბაცილებს და უფრო დიდი პროვოკაცია აცილა ვეტერანებს.

კი ბატონო, საპატრულო პოლიციამ ვაკის პარკში მომხდარი დაპირისპირების შედეგად სამი პირი – ვალერი კვარაცხელია, მისი ვაჟი და სამოქალაქო მოძრაობის „ძალა ერთობაშია“ წევრი ნიკა შაყულაშვილი დააკავა. სამართალდამცველებმა ისინი ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით დააკავა, რაც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს.

ისინი უკვე გაათავისუფლეს. მაგრამ როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, დაკავებულები ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლდნენ, თუმცა საქმეზე ადმინისტრაციული სამართალწარმოება გრძელდება და საქმის მასალები სასამართლოს შემდეგი რეაგირებისთვის გადაეგზავნება.

ისმის საკმაოდ ლეგიტიმური შეკითხვა: მოხუცებისთვის „ღორების“ დაძახება შეიძლება და ჯულიეტოვნასთვის პედერასტის დაძახება არა?

ბარემ ამ ლიბერასტებმა კონსტიტუციაში ჩაწერონ, რომ ყველანაირად გაუკულმართებული ქვეყანა ვართ და ჩვენით მივხედავთ ჩვენს თავსაც და სხვებსაც...

რაც შეეხება ქაცარავას და იმათ, ვინც ე.წ. საბჭოთა სიმბოლიკას ებრძვის, უნდა შევახსენო, რომ აღარ არსებობს საბჭოთა კავშირი, აღაააარ!

გააგებინეთ ვინმემ, თორემ მალე ნიფხვებსაც შეამოწმებენ, წითელი ფერის ხომ არ აცვია ვინმესო (რა მაგის პასუხია და წითელი ტანგა საკმაოდ სექსუალურია).

არადა, სანამ ქაცარავა ვაკის პარკში ოკუპანტებსა და ვეტერანებს ებრძოდა, ლარსზე ოცი რუსულნომრიანი მანქანა შემოპარულა.

ეჰჰ, რა ეშველებათ გრანტებსდახარბებულ ამდენ სულგაყიდულ დათიკო ბრიგადირს...

არადა, დარწმუნებული ვარ, რომ ისინი, ვისაც სჯერა, რომ მეორე მსოფლიო ომი ამერიკელებმა მოიგეს, საზეიმო ბანკეტზე კლუბ „ბასიანში“ შეიკრიბნენ და 100 წელს მიტანებულ მოხუცებზე სატელევიზიო გამარჯვება ხუთხუთი აბი მეფედრონით აღნიშნეს.

ჩემი აზრით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა, ნაციონალური მოძრაობის წევრის მიერ ვეტერანთა შეურაცხყოფის შესახებ სპეციალური განცხადება უნდა გააკეთოს.

თავიანთი პოზიცია უნდა გამოხატონ პრეზიდენტმა, პრემიერმა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა.

განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა „რ2“-ის და იმედის ყველა საინფორმაციო გადაცემაში ხმიანდება ნაცმოძრაობის აქტივისტების მოწოდებები ვეტერანთა 1000 ლარით დაჯარიმების შესახებ.

ვეტერანთა დაცვა წელიწადში ერთხელ სუფრის გაშლა და 500 ლარის ჩუქება არ არის.

ბოლოს კი მინდა, ყველა ვეტერანსა და იმათ ოჯახებს მივულოცო გამარჯვების დღე და ვუთხრა, რომ ისინი, ვისაც უკანალზე მარიხუანა ან სოროსი ახატია, ამ გმირ ხალხს და იმათ შთამომავლებს ვერასდროს დაამარცხებენ!

გია გაბრიჭიძე

ტაქსისტები პირწმინდად იტყუებიან!

ვინც ნორმალურად მუშაობს, ფულსაც შოულობს!

დედაქალაქში ტაქსის სერვისი სალიცენზიო საქმიანობა ხდება. როგორც თბილისის მერიაში განგვიმარტეს, ჯერჯერობით არ არის დაზუსტებული, თუ რა იქნება ლიცენზიის საფასური ან რა პერიოდულობით მოუწევთ მძღოლებს მისი გადახდა. პრესსამსახურის ინფორმაციით, პარლამენტში საკომიტეტო მოსმენებზე კანონში ცვლილებები უნდა შევიდეს, რის შემდეგაც განისაზღვრება ლიცენზიის ღირებულება. მედიაში კი ვრცელდება ინფორმაცია, რომ ლიცენზიის საფასური 50-100 ლარი იქნება.

სხვადასხვა გათვლებით, თბილისში ყოველდღიურად მინიმუმ 20.000 ტაქსი მოძრაობს, ტაქსების ასეთი სიმრავლის მთავარი მიზეზი ქვეყანაში არსებული უმუშევრობის პრობლემაა, რის გამოც ავტომფლობელთა ნაწილი ოჯახის რჩენის მიზნით ტაქსისტობას იწყებს.

გიორგი ჭუმბურიძე, რომელიც დაახლოებით ერთი წელია, ტაქსისტია, გვიყვება, რომ სამსახურის დაკარგვის შემდეგ მისთვის ერთადერთი შემოსავლის წყარო ეს საქმიანობა გახდა. მისი თქმით, ხელისუფლება რეგულაციით ფულს ჯიბიდან არამარტო ტაქსისტს, არამედ მთელ მის ოჯახს ამოულებს. ჭუმბურიძე აცხადებს, რომ ლიცენზიის საფასური ყოველთვიური გადასახადით არ უნდა განისაზღვროს იმიტომ, რომ ბევრ ადამიანს მანქანა ქირით ჰყავს აღებული და გადასახადი მძღოლს დიდ ტვირთად დააწვება.

„თუ ტაქსისტს ყოველთვე 50 ლარის გადახდა მოუწევს, ეს იქნება დიდი უსამართლობა. ლიცენზიის დაწესება აუცილებელია და ეს კარგი რეფორმაა, მაგრამ ლიცენზია ერთწლიანი ან ექვსთვიანი უნდა იყოს, როგორც პარკირების გადასახადს ვყიდულობდით და აუცილებელია ფასი ხელმისაწვდომი იყოს მძღოლისთვის. ამ რეგულაციით მხოლოდ სახელმწიფო იშოვის ფულს, მეტი არაფერი შეიცვლება, ხალხისთვის ეს კარგი არ იქნება. ბევრ ადამიანს დააწვება გადასახადი და შეიძლება, ის გადასახდელი თანხა ორი კვირის განმავლობაში ვერ იშოვოს. ცვლილებები ტაქსისტების ჯიბიდან ფულის ამოღებაზე არ უნდა იყოს მიმართული. თუ ბიუჯეტის შევსება უნდათ, სხვა რამე მოიფიქრონ. ქვეყანაში უმუშევრობაა, ხალხს ფული არ აქვს და ერთადერთი შემოსავლის წყაროა ბევრი ოჯახისთვის,“ – აცხადებს გიორგი ჭუმბურიძე.

კომპანია „200-200“ – ის დირექტორი ნიკა ხოფერია კი ამბობს, რომ ლიცენზიის საფასური ტაქსისტის ჯიბის ფულს არ უნდა შეეტყოს და თვიური გადასახადი დაახლოებით 15 ლარი უნდა ღირდეს. ხოფერია განმარტავს, რომ სახელმწიფოს მოთხოვნა ლიცენზიის ქონასთან დაკავშირებით ლეგიტიმურია. მისივე თქმით, რეგულაციები ტაქსების რაოდენობას ქალაქში არ შეამცირებს.

„ქვეყანა გაჭირვებულია, ტაქსისტებსაც უჭირთ, მათ სხვა გამოსავალი არ ექნებათ და მაინც გადაიხდიან ლიცენზიის ღირებულებას. როდესაც სამეწარმეო საქმიანობას ეწევი და მოგება გაქვს, უნდა გადაიხადო, ეს ჩვეულებრივი ამბავია და ამაში არაფერია გასაკვირი, მაგრამ ეს გარდამავალ პერიოდში ნელ-ნელა უნდა განხორციელებულიყო. მძღოლები გადახდას უნდა შეეჩვიათ, თანხა სამ თვეში ერთხელ რომ გაზრდილიყო, ეს აბსოლუტურად მისაღები იქნებოდა. მძღოლები დაიწყებენ თემაზე აპელირებას და ტარიფებს გაზრდიან. ტაქსები შეჩვეულები არიან იმას, რომ ამდენი ხნის განმავლობაში არაფერს იხდიდნენ, ახლა დაიწყებენ მომატებულ ფასზე აპელირებას და დიდ მნიშვნელობას მიანიჭებენ ამას, მიუხედავად იმისა, რომ მომატებულ თანხაზე ბევრად მეტს გამოიმუშავებენ,“ – აღნიშნა ნიკა ხოფერიამ.

თუ თითოეულ ტაქსის მძღოლს 50 ლარის გადახდა მოუწია, მერია ახალი ლიცენზიის მეშვეობით წელიწადში 1 მილიონ ლარს აკრეფს.ის მძღოლები კი, რომლებიც ულიცენზიოდ იტაქსავებენ, 200 ლარით დაჯარიმდებიან. ტაქსების კონტროლზე პასუხისმგებელი შინაგან საქმეთა სამინისტრო იქნება.

ეს ყველაფერი აქამდეც უნდა გაკეთებულიყო. ტაქსისტების პარპაშს ბოლო უნდა მოეღოს, სახელმწიფომ კი მინიმალური თანხა მაინც უნდა მიიღოს!

ბაჩო ადამია

რეალური ეკონომიკა მუხრუჭდება

შეგახსენებთ: პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ განაცხადა, ეკონომიკის განვითარებას კომერციული ბანკები ამუხრუჭებენო.

ამ განცხადებას ოპერატიულად გამოეხმაურა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“: 2018 წლის 26 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა ბატონ ოთარ ხუციშვილის წერილი „ფინანსთა მინისტრის დიდი „აღმოჩენა“, ეკონომიკის განვითარებას თურმე ბანკები ამუხრუჭებენ“.

იგრძნეს რა თავიანთი დანაშაული, ერთ-ერთი უდიდესი კომერციული ბანკის ხელმძღვანელმა მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, ნუ მოვთხოვთ ბანკებს ინვესტიციების განხორციელებას, ბანკები მხოლოდ კრედიტებს გასცემენო.

ბატონმა მამუკამ ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც კომერციულმა ბანკებმა მილიარდობით ინვესტიცია ჩადეს მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰესების მშენებლობაში და ისინი არ მუშაობენ, მშენებლობა შეჩერდა!

ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ მძლავრი სახალხო მოძრაობა აგორდა სრულიად საქართველოში — სვანეთში, იმერეთში, რაჭაში, კახეთში. ჩვენი თანამოქალაქენი მიხვდნენ, რომ ჰესების მშენებლობიდან მოგების მიღება, ჰესების მშენებლობის კომერციალიზაცია არ შედის არც იმათი და არც სახელმწიფოს ინტერესებში, რომ ბიზნესის გაფეტიშებამ ლახვარი ჩასცა ქვეყანაში მეცნიერების განვითარებას, ხოლო მეცნიერებისა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების გარეშე, რეალური ეკონომიკა არ განვითარდება.

ბიზნესი, კლასიკური გაგებით, არის რაღაც საქმეში ფულადი სახსრების ჩადება მხოლოდ მოგების მიღებისა და ფულით ფულის დაგროვების მიზნით. საუბედუროდ, ჩვენმა პოლიტიკოსებმა ბიზნესს ქვეყნის აღმშენებლობის ფუნქცია დააკისრეს.

როდესაც ფინანსთა მინისტრი აცხადებს, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას კომერციული ბანკები ამუხრუჭებენო, ამ განცხადებას კომერციული ბანკების ხელმძღვანელებიც ეთანხმებიან, ხოლო ქვეყანაში არის მძლავრი სახალხო მოძრაობა ბიზნესის წინააღმდეგ და ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხზე სისტემატურად არ მსჯელობენ არც პრეზიდენტი, არც პარლამენტი და არც პარლამენტგარეთ მყოფი პოლიტიკური პარტიები, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს მხოლოდ თავისი პირადი ინტერესები ამოძრავებს. ასეთი პოლიტიკოსები, ჩვენი აზრით, ღირსნი არ არიან საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ავირჩიოთ!

ბატონმა პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის და პოლიტიკური ინსტიტუტების დასუსტება სახელმწიფოს დასუსტებაა.

სამინისტროების მუშაობით უკმაყოფილო იყო და ალბათ ახლაც არის ბიძინა ივანიშვილი. „გაჩნდა კითხვები“ და პასუხისგებაში მიეცნენ სოფლის მეურნეობისა და თავდაცვის სამინისტროების მაღალჩინოსნები. სულ ახლახან გააუქმეს ენერგეტიკისა და ბუნების დაცვის სამინისტროები. ითვალისწინებს რა ინსტიტუციების, სამინისტროების მიერ გაწეულ სამუშაოებს, „ქართული ოცნება“ მიზანმიმართულად ამცირებს სამინისტროებს. რაც უფრო მეტი უფლებამოსილება ჩამოერთმევა ცენტრს და გადაეცმა მუნიციპალიტეტებს, მით უფრო მეტად შემცირდება რეალური ეკონომიკის დამუხრუჭება.

როგორ იმოქმედა ქვეყნის რეალურ ეკონომიკურ განვითარებაზე მკაცრმა ცენტრალიზებულმა მმართველობამ, კონკრეტულად განვიხილოთ ბოლნისის მაგალითზე.

ბოლნისში ის ფიზიკური პირები, რომლებიც ვენახები და ყანები მთავარი სარწყავი არხიდან 1 კმ-ზე მეტით არის დაშორებული, სარწყავი წყლით ან ვერ სარგებლობენ, ან მორწყვას 5-7 დღეს ანდომებენ, რაც მეზობლებსა და ახლობლებს შორის დაპირისპირებას და ჩხუბს იწვევს.

შიდა არხები ამორტიზებული და დახრამულია და მთავარი არხიდან გამოშვებული წყლის მხოლოდ მეხუთედი აღწევს დაშორებულ ვენახებამდე; დეფორმირებულია გზები, რადგან ისინი ხშირად იტბორება, რაც შეუძლებელს ხდის მანქანით გადაადგილებას. მორწყვა ძალიან შრომატევადი გახდა და ამიტომ, მოსარწყავ ზონაში ბევრია მიტოვებული ვენახი და ყანა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელმაც თავის დროზე უარი თქვა მორწყვის წვეთოვან და დასხურების მეთოდების დანერგვაზე, მევენახე კაცის გაჭირვება არ ადარდებს.

ბოლნისელმა მევენახეებმა რამდენჯერმე წარადგინეს სქემატური ნახაზი, რომელიც ითვალისწინებდა მიწისქვეშა მილსადენით წყლის უდანაკარგოდ მიყვანას 10-15 ჰა ფართობის მქონე მიწის ნაკვეთამდე, მაგრამ ურეაგირებოდ დარჩა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხოლოდ ძვირადღირებული პროექტები აინტერესებს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში უმნიშვნელო თანხის გათვალისწინება სარწყავი სისტემის რეაბილიტაციისათვის მნიშვნელოვნად გაუადვილებს გლეხაკაცს მუშაობას, საერთოდ აღმოიფხვრება სარწყავი წყლის დანაკარგები, გაიზრდება მოსავლიანობა.

მეორე მაგალითი: როგორც ჩვენს მოქალაქეებს ახსოვთ, არ-ემ-ჯი ბოლნისის რაიონის საზოგადოებას შეჰპირდა, რომ ააშენებდა მუზეუმს საყდრისიდან საინტერესო ნიმუშების განსათავსებლად. 4 წელია, მიმდინარეობს ორსართულიანი შენობის მშენებლობა და მის დამთავრებას საშველი არ დაადგა. მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ ვის აძლევს ხელს ასეთი გაჭიანურებული მშენებლობა. მუნიციპალიტეტის გამგეობაში ბევრი ტექნიკური ზედამხედველია, მაგრამ მათ ობიექტზე შესვლის უფლება არა აქვთ.

უფლებამოსილებათა დეცენტრალიზაცია, ადგილობრივი მმართველობის პასუხისმგებლობის გაზრდა, მნიშვნელოვნად შეამცირებს რეალური ეკონომიკის დამუხრუჭებას, თუმცა არავის ესმის ჩვენი თხოვნა-გოდებისა!!!

ნუგზარ კობახიძე,
ბოლნისიდან.

ახალმა გადასახადმა ფქვილი ოდნავ გააძვირა, პური ჯერ არა

ხორბლის იმპორტიორები ფქვილის გაძვირებზე ალაპარაკდნენ. მართლაც ბოლო დღეებში 2 ლარით მოიმატა 1 ტომრის ღირებულებამ. ამის მიზეზი ფიტოსანიტარიული კონტროლის წესში მთავრობის დადგენილებით შესული ცვლილებებია, რომელთა მიხედვით, გენმოდიფიცირებაზე ანალიზი საქართველოში, ხორბლით დატვირთულ ყველა შემოსულ მანქანას უნდა ჩაუტარდეს. აქამდე ეს პროცედურა მათთვის უფასო იყო, ახლა კი სპეციალური ტარიფი დაწესდა.

ფიტოსანიტარიული კონტროლის შესახებ მთავრობის დადგენილებაში შესული ცვლილებით, ხორბლის გენმოდიფიცირებაზე შემოწმების ანალიზი ფასიანი ხდება და ხორბლით დატვირთული ყოველი მანქანის ანალიზი, იმპორტიორს 250 ლარი დაუჯდება.

შემოსავლების სამსახურში აცხადებენ, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქციის გამოსავლენად ლაბორატორიული კვლევის საფასურის დაწესების შესახებ იმპორტიორებმა იცოდნენ. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის

სამმართველოს უფროსის **თენგიზ მარტიაშვილის** თქმით, ყველა იმპორტიორი გადამხდელადაა რეგისტრირებული, მათ გააჩნიათ საკუთარი გვერდები, შესაბამისად, შეტყობინებები ყველას გაეგზავნა.

ახალი რეგულაციის გამო ფქვილის ფასი უკვე შეიცვალა და ცოტათი გაძვირდა კიდეც — 1 ტომარა 1,5-2 ლარით. რა გავლენას მოახდენს იგი პურპროდუქტების ბიზნესზე, ჯერ უცნობია. მეპურეთა ასოციაციის თავმჯდომარე **მალხაზ დოლიძე** ამბობს, რომ ნებისმიერ სფეროში ნებისმიერი რეგულაცია, საბითუმო და სარეალიზაციო ფასზე ასახვას ჰპოვებს, თუმცა მზა პურპროდუქტის გაძვირებაზე ჯერჯერობით საუბარი ნაადრევია.

„მზა პროდუქტს რამდენად გააძვირებენ, ჯერ არ ვიცით, ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ თვითღირებულებას რომ 2 ლარი დააწვა, ეს უკვე გასათვალისწინებელია. ნებისმიერი რეგულაცია, რომელიც ტარდება, აუცილებლად აისახება შემდგომ ფასზე. კონტროლს ითხოვენ ხორბალზე და ამ დროს სიმინდზე უფრო უნდა მოითხოვონ ფიტოსანიტარიული კონტროლი, ვიდრე ხორბალზე.

რატომ ვუძვირებთ ამ ხალხს პროდუქტს, არ მესმის. ხომ უნდა გაითვალისწინონ, რომ სამომავლოდ თითქოს შეუმჩნევლად ყველაფერი გაძვირდება?“ — აცხადებს დოლიძე.

მეპურეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ფასიანი ანალიზის შემოღებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესს უკავშირებს და მას ქართული მხარე წინ ვერ აღუდგებოდა.

„საქართველოში ხორბალი სამი გზით შემოდის — გემით, რკინიგზითა და ავტომანქანებით. ანალიზის აღების სპეციფიკა კი გულისხმობს, რომ ყველა დახურული სივრციდან ერთი სინჯი უნდა იქნეს აღებული. ეს გემის შემთხვევაშიც ერთია, სადაც დიდი რაოდენობის ხორბალი ეტევა და მანქანის შემთხვევაშიც ერთია. ამიტომ მანქანით შემოსული, შესაძლო გაძვირებული ხორბალი, დაბალანსდება გემით და რკინიგზით შემოსული ხორბლით. ამიტომ პურპროდუქტების საცალო ღირებულებას ფასი არ შეეცვლება“...

ბექა დანელია

გზისა და ხიდების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები მიმდინარეობს

თბილისის მერი კახა კალაძე გლდანის რაიონში, სარაჯიშვილის გამზირზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო. გზის რეაბილიტაცია დაზიანებული სანიაღვრე ქსელის აღდგენასა და ახლის მოწყობას ითვალისწინებს. სამუშაოების ფარგლებში, ასევე, მოეწყობა ახალი ბორდიური. გზის რეაბილიტაცია დაახლოებით, სამ კილომეტრს მოიცავს.

„მდინარე გლდანულაზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდის სრული დემონტაჟი განხორციელდება და ახალი ხიდი აშენდება. საკმაოდ მასშტაბური სამუშაოები ტარდება. პროექტის განხორციელება 8 მილიონი ლარი დაჯდება. ხიდი ავარიულ მდგომარეობაშია და ამ კონკრეტულ მონაკვეთზე ავტომანქანით გადაადგილება საშიში იყო. სამუშაოები უკვე დაწყებულია, რომლის ფარგლებშიც, კეთილმოეწყობა გზაგამყოფი, ბორდიური და განათებები“, — განაცხადა კახა კალაძემ.

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში ზაჰესის დასახლებიდან სარაჯიშვილის მეტროს მიმართულებით მიმავალი ტრანსპორტის მოძრაობა შეიზღუდება, ხოლო საპირისპირო მიმართულება ორმხრივი იქნება. სარეაბილიტაციო სამუშაოები 20 სექტემბერს დასრულდება. რეაბილიტაციას თბილისის მერიის კონტრაქტორი კომპანია შპს „ენ სი“ აწარმოებს. პროექტზე დედაქალაქის ბიუჯეტიდან დაახლოებით, 1 850 000 ლარი დაიხარჯება.

სრული დემონტაჟი ჩაუტარდება ასევე, მდინარე გლდანულაზე არსებულ ავარიულ ხიდებს და მათ ნაცვლად, ახალი ხიდები აშენდება. სამუშაოების პირველ ეტაპზე, ექვსი თვის განმავლობაში, საავტომობილო შეზღუდვა ზაჰესის დასახლებიდან სარაჯიშვილის მეტროს მიმართულებას შეეხება, ხოლო საპირისპირო მიმართულება ორმხრივი იქნება. მეორე ეტაპზე კი, მოძრაობა სარაჯიშვილის მეტროდან ზაჰესის დასახლების მიმართულებით არსებულ მონაკვეთზე შეიზღუდება.

ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისთვის!

აუცილებელი რადიკალური ცვლილებებისთვის ახალი თაობა ბევრად უფრო გაბედულია

მაისის დასაწყისში ქართულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომელიც მაშინვე ამიერკავკასიისა და რუსეთის მედიასაშუალებათა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა: საქართველოში იქმნება არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაცია „ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისთვის“.

იდეას დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ და თავისი მხარდაჭერა გამოუცხადეს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და მისმა უწმინდესობამ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

გვესაუბრება თბილისში სტუმრად მყოფი სომეხი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, დამოუკიდებელი უფლებადამცველი, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ადმინისტრაციის ყოფილი მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, ორგანიზაციის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი არბაპ ხაჩატრიანი.

— ბატონო არბაპ, თქვენი აზრით, რით არის გამოწვეული ამგვარი ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობა?

— მიზეზი ბევრია. მათგან მხოლოდ უმთავრესზე მოგახსენებთ. მოდით, გვერდზე გადავდოთ დამნაშავეთა ძიება და ამიერკავკასიაში შექმნილ უმძიმეს ვითარებაზე ვისაუბროთ. სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობით, კერძოდ, ყარაბაღის პრობლემით დავიწყებ. იმედია, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი დამეთანხმება, რომ პრობლემის სამხედრო ძალით მოგვარებაზე ფიქრიც კი არა მარტო სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის, არამედ მთელი კავკასიისთვის უდიდეს საფრთხეს შეიცავს. ღმერთმა ნუ ინებოს, და ვითარება გამწვავდეს, თვალის დახამხამებას ვერ მოვასწრებთ, რომ კავკასიის რეგიონზე გამავალ ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ყველა გზას მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრება. ამას მოჰყვება ეკონომიკური და დიპლომატიური კოლაფსი... ყველასთვის ცხადია, რომ ყარაბაღის პრობლემა ჯერჯერობით დროებით გაყინულია და არ არის გადაჭრილი. საერთაშორისო დიპლომატიური ორგანიზაციების მიერ გატარებული ყველა გადაწყვეტილება — გაეროს რეზოლუციების, სამიტების კონფერენციებისა თუ არაფორმალური შეხვედრების ჩათვლით - უშედეგოა. ამ დროს, 1 მაისს, კავკასიის ახალგაზრდობამ პრობლემის გადაჭრის ახალი ფორმატი შემოგვთავაზა. ისინი ხედავენ, რომ მამების თაობისგან მემკვიდრეობით მიღებული გაუთავებელი ომიანობის პირობებში ცხოვრება შეუძლებელია და ურთიერთობების ახალ, მშვიდობიან გზას გვთავაზობენ. ბოლო დღეებში მთელი მსოფლიო იყო იმის მოწმე, თუ როგორ შესძლო სომხეთის ახალგაზრდობამ მშვიდობიანი გზით შეეცვალა ქვეყნის კორუმპირებული ხელისუფლება. რაც მთავარია, ეს არ ყოფილა „ხავერდოვანი რევოლუცია“, რომელსაც ყოველთვის მსხვილი გეოპოლიტიკური მოთამაშეები წარმართავენ. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ მსოფლიოს უდიდესმა სახელმწიფოებმა უმტკივნეულოდ მიიღეს მოვლენათა ასეთი განვითარება, დაეთანხმნენ ახალგაზრდა თაობის მშვიდობიან სამყაროში ცხოვრების არჩევანს. ამ მოვლენებმა თვალნათლივ აჩვენეს, რომ პოლიტიკაში ახალი დრო დადგა — დრო არა მარტო სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლის ველზე თავგანწირვის, არამედ მშვიდობიანი თანაარსებობისა.

— პირადად თქვენ და თქვენს თანამოაზრეებს რაიმე განსაკუთრებული მიზნები გამოძრავებთ, თუ საქმე სახალხო დიპლომატიის თქვენეული იდეების ტრანსფორმაციასთან გვაქვს?

— არ არსებობს არავითარი ტრანსფორმაცია. მე უკვე მრავალი წელია, სახალხო დიპლომატიის პროპაგანდას ვეწევი; ყოველთვის ხაზს ვუსვამდი, რომ ერთი შეხედვით გადაუჭრელი, საუკუნეობით ფესვგამდგარი პრობლემების მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობიანი გზით და ეს ახალგაზრდობის პრეროგატივაა. **ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქართველ ახალგაზრდობას შეუძლია, იკისროს ლიდერის როლი მთლიანად კავკასიელი, მათ შორის, სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდობის ერთი მიზნით გაერთიანებაში. ჩვენ, მამების თაობა, საკუთარი ცოდნითა და გამოცდილებით გვერდით უნდა დავუდგეთ ახალგაზრდობას, დავეხმაროთ იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რაც თავის დროზე ჩვენ ვერ მოვახერხეთ.** აუცილებელი რადიკალური ცვლილებებისთვის ხომ ახალგაზრდული მენტალიტეტი გაცილებით უფრო გაბედულია!

მშვიდობიანი სახალხო დიპლომატიის ერის დადგომაში მედიას განსაკუთრებული როლი ენიჭება. ამიტომ მინდა, თქვენი ნებართვით მივმართო კავკასიის ყველა მედიასაშუალებას — მოდი, გვერდზე გადავდოთ ნებისმიერი საომარი რიტორიკა! ძალიან მიხარია, რომ 1 მაისს თბილისში გამართული ღონისძიება კავკასიის ძალიან ბევრმა მედიასაშუალებამ გააშუქა. სწორედ ეს არის თანამედროვე ჟურნალისტიკის მეინსტრიმი.

— თუ მეხსიერება არ მღალატობს, „ყარაბაღის პრობლემის“ მშვიდობიანი გადაწყვეტის იდეა საქართველოს პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიასაც ჰქონდა. მისი აზრით, ყველაზე უმტკივნეულო და ორივე მხარისათვის მისაღები ამ რეგიონის ეგრეთ წოდებულ „თავისუფალ ეკონომიკურ ზონად“ გამოცხადება იქნებოდა. ამ მიზნით სომხეთში მისი თანაშემწე გიორგი ბურჯანაძეც იყო მივლინებული. თუმცა, მაშინ მოვლენები საქართველოში ტრაგიკულად განვითარდა და მოლაპარაკებები ვერ დაიწყო.

— რა თქმა უნდა, არ ვფიქრობ, რომ თუნდაც მთელი კავკასიის ახალგაზრდობის გაერთიანებით და მშვიდობიანი კავკასიის დეკლარირებით პრობლემები მყისიერად გადაიჭრება. დღევანდელი ვითარება მთელ კავკასიაში, მათ შორის, საქართველოშიც ურთულესია. მუქარით და იარაღით ვერც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემები გადაიჭრება. ეს კარგად აქვს გაცნობიერებული საქართველოს ხელისუფლებას და ვიცი, რომ მშვიდობიანი გზების გამოძებნაზე ინტენსიურად ფიქრობს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ — სხვანაირად შეუძლებელია. რუსეთის ფაქტორის გაუთვალიწინებლობაც არ შეიძლება — ერთობლივი ძალისხმევით საერთო ენა მასთანაც უნდა გამოინახოს. სომხეთის ბოლო მოვლენებთან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლების განცხადებებიც იმის დასტურია, რომ პრობლემათა მშვიდობიანი გადაჭრის გზების ძიებით კრემლიც დაინტერესებულია. მშვიდობიანი, მეგობრული, ეკონომიკურად ძლიერი კავკასია მისთვისაც გაცილებით უკეთესი პარტნიორი იქნება.

— რატომ აირჩიეთ თბილისი ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ცენტრად?

— საქართველო, თბილისი ისტორიულად არის განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური მრწამსის ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების კლასიკური მაგალითი. იშვიათია ქვეყანა, სადაც საუკუნეების განმავლობაში უკონფლიქტოდ გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, გვერდიგვერდ ლოცულობდნენ მართლმადიდებლები, გრიგორიანელები და ევანგელისტები, შიიტები და სუნიტები, კათოლიკეები და იუდეველები... მოკლედ, თბილისს აქვს განსხვავებული ეთნოსისა და მრწამსის ადამიანებთან ურთიერთობის, მათი სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის გაერთიანების უნიკალური გამოცდილება. იმედია, ჩემი აქაური, სომხეთსა და უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეები არ მიწყენენ, თუ ვიტყვი, რომ ევროპულ ცივილიზაციასთან დაახლოების თვალსაზრისით საქართველო, ქართველი ახალგაზრდობა სომეხ და აზერბაიჯანელ თანატოლებთან შედარებით უკანასკნელ წლებში საკმაოდ შორს წავიდა. ბარემ იმასაც ვაღიარებ, რომ სამართლებრივი მოწყობის მხრივაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ უდიდესი ნაბიჯები გადადგა.

— კავკასიის ახალგაზრდობის მშვიდობიანი თანაარსებობის კეთილშობილური მიზნით გაერთიანება და საერთაშორისო ორგანიზაციის დაფუძნება მართლაც შესანიშნავი იდეაა. თუმცა, სერიოზული დაფინანსების გარეშე, დამეთანხმებით, არაფერი გამოვა.

— საერთოდ, ნებისმიერი სადავო საკითხის მშვიდობიანი გზით გადაჭრა შეიარაღებულ კონფლიქტზე გაცილებით იაფი ჯდება. დიახ, ომი რაღაც წრეებისთვის დიდად მომგებიანია და მას უამრავი ინვესტორიც ჰყავს, მაგრამ ომს ხომ უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე და თვით სახელმწიფოების არსებობაც კი ეწირება! მსოფლიო აზროვნება უკვე მივიდა აქამდე. სომხეთის წინა ხელისუფლებაზე გაცემული ინვესტიციები უკვე ამოიწურა და პროგრესული მსოფლიო დღეს მზად არის, მხარში დაუდგეს ახალი, მშვიდობიანი სომხეთის მშენებლობას. თბილისში ჩამოსვლამდე მოსკოვში ამ თემაზე მქონდა შეხვედრები მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემებით დაინტერესებულ სერიოზულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სომხური დიასპორის წარმომადგენლებთან, ჩემს თბილისელ თანამოაზრეებთან — ყველა მზად არის, თავისი წვლილი შეიტანოს მშვიდობიანი კავკასიის მშენებლობაში, და დარწმუნებული ვარ, ამ მხრივ რაიმე დაბრკოლება არ იქნება.



— დიდი მადლობა, რომ ჩემთან სასაუბროდ დრო გამონახეთ. წარმატებებს გისურვებთ.

ესაუბრა
თეიმურაზ ძორიძე

სომხეთ-საქართველოს ურთიერთობები გეოპოლიტიკურ გავლენებს არ უნდა ეფუძნებოდეს

სომხეთის ახალი პრემიერ მინისტრი საქართველო-სომხეთის ურთიერთობებზე „პირველ არხთან“ ინტერვიუში საუბრობს და აცხადებს, რომ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ყველა სფეროში უნდა გაღრმავდეს. ნიკოლ ფაშინიანის თქმით, საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობები გეოპოლიტიკურ გავლენებს არ უნდა ეფუძნებოდეს.

„საქართველო მეგობარი სახელმწიფოა. საქართველოსა და სომხეთის ძმური ურთიერთობები უნდა განვითარდეს, რადგან ჩვენ ვართ მოძმე ქვეყნები და ახლო პარტნიორები. ჩვენი პარტიის პროგრამაში საქართველოს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სომხეთისთვის. ვფიქრობ, ჩვენი ურთიერთობები გეოპოლიტიკურ გავლენებს არ უნდა ეფუძნებოდეს. ზოგჯერ ჩვენ ურთიერთობებზე გავლენას ახდენს გეოპოლიტიკური ფაქტორები და სამწუხაროდ, ამ ფაქტორების გავლენა ყოველთვის პოზიტიური არ არის. ზოგჯერ გვაქვს ნეგატივი.

ვფიქრობ, ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ ისეთი ურთიერთობა, რომელიც გეოპოლიტიკურ ფაქტორებს მიღმა იქნება. სომხეთსა და საქართველოს პირდაპირი, ორმხრივი ურთიერთობები უნდა ჰქონდეს და ჩვენ უნდა გავაღრმაოთ თანამშრომლობა ყველა სფეროში, როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ სფეროებში და ადამიანებს შორის ურთიერთობებიც უნდა გაღრმავდეს“, — განაცხადა ნიკოლ ფაშინიანმა.

ქვემეხებს საქართველოს რუსეთიდან ესვრიან

ქვემეხებს საქართველოს რუსეთიდან ესვრიან და არა პირიქით, საქართველოში ქვმეხები არ ისვრიან, რადგან იქ არავინ არის ისეთი, ვისაც უნდა ესროლონ“, — ასე უპასუხა ქართველმა კინორეჟისორმა ოთარ იოსელიანმა იის-ის ჟურნალისტის შეკითხვას.

აფხაზეთის შესახებ საუბრისას რეჟისორმა აღნიშნა, რომ ომი რუსეთმა გააჩაღა. **„აფხაზეთი სამთავროა, ის საქართველოს ძველი სახელწოდებაა. ის სამთავროა, რომელიც სტალინმა ავტონომიურ რესპუბლიკად აქცია და ოსეთიც ავტონომიურ ოლქად გადააქცია, ის ხომ მაჩაბლის სამთავრო იყო. სოჭიც ჩემს წინაპრებს ეკუთვნოდა, ის ორჯონიკიძემ აჩუქა რუსეთს. თუ რუსეთს ყირიმი მიაქვს, მაშინ დაგვიბრუნოს სოჭი“,** — განაცხადა იოსელიანმა.

ჟურნალისტმა შეკითხვა რეჟისორს სტალინზეც დაუსვა, თუ რას ფიქრობდა ის საბჭოთა ბელადზე. **„სტალინს სურდა, რაღაცისთვის მიეღწია. არ გამოუვიდა. უნდოდა, მიეღწია, სავარაუდოდ, იმისთვის, რომ მსოფლიო რევოლუცია მომხდარიყო და იმისთვის, რომ მთელი მსოფლიო საბჭოთა გამხდარიყო. მაგრამ ეს არ მოხდა. და ამიტომ მან დახარჯა კოლოსალური ადამიანური რესურსები, ის მივიდა იქამდე, რომ წააგო ომი.**



არანაირი გამარჯვება არ ყოფილა. ჩვენ ამერიკელებისა და ინგლისელების გარეშე ვერ გავიმარჯვებდით. იმის მიუხედავად, რომ ჟუკოვმა თავისი თანამემამულეების ისეთი რაოდენობა ჩააწვინა მიწაში, რომ ამაზე ფიქრიც კი საშინელებაა“, — აღნიშნა იოსელიანმა.

„დაკარგული დროისა“ და სამშობლოს ძიებაში

— „ჩემი პიროვნებიდან და არჩევანიდან გამომდინარე, რომელიც უკვე გავაკეთე, მე არ ვარ დაკარგული საქართველოსთვის“, — ამბობთ თქვენ, რაც იმ სინამდვილეში, როცა საქართველოდან უწყვეტ ნაკადად, შემაშფოთებლადაც კი, გაედინება ქვეყნის გენოფონდი და ინტელექტუალური ძალა, ძალიან საგულისხმო და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. უფრო ხომ არ გაგვიშიფრავთ რა დატვირთვას დებთ ამ შემთხვევაში თქვენს „პიროვნებასა და არჩევანში“?

— იმ ბეწვის ხიდზე გავლისას, ორ განსხვავებულ კულტურასთან ერთდროულად ზიარება რომ ჰქვია, ვცდილობდი, ყოველი მისხალი ჩემ მიერ განცდილი გრძნობებისა თუ ათვისებული ცნებებისა არ გარდაქმნილიყო, ერთი მხრივ, ცარიელ სენტიმენტალიზმად, მეორე მხრივ კი, ცივ ინტელექტუალიზმად. ორივე ეს უკიდურესობა „დაკარგულობის“ წინაპირობაა ხოლმე. ჩემი არჩევანიც ესაა — ჩემი კულტურიდან შესისხლხორცებული არაფერი არც ზედმეტი რომანტიზმით დავტვირთო, არც ცივი გონების სკალპელით, ჩემდა უნებურად, ამოვიკვეთო. ლიტერატურა, ამ მხრივ, დიდი ზიარჭურჭელია გრძნობების და ცნებების შესაჯერებლად. ეს ჭურჭელი კი, როგორც უკვე ვთქვი, ქართული ნაკეთობაა. რაც შიგ მოხვდა, დღემდე ცოტა რამ თუ დაიკარგა (ყველაფერზე თავს ვერ დავდებ, მაინც უძიროა ეს ჭურჭელი, ადამიანი რომ ჰქვია). ალბათ, საბოლოოდ მაინც განვლილი ცხოვრების გადმოსახედიდად გახდება ყველაფერი უფრო ნათელი.

— თქვენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტზე სწავლობდით, როცა მოულოდნელად გადაწყვიტეთ, რომ სწავლა ფილოსოფიის განხრით გაგეგრძელებინათ. თქვენ ამ გარემოებას მერაბ მამარდაშვილის ნააზრევის გაცნობას უკავშირებთ. როდის იპოვეთ თქვენი მამარდაშვილი და რითი განსხვავდება ის იმ ქართველების მამარდაშვილისგან, რომლებმაც მისი პიროვნება და მსოფლმხედველობა მის ერთ ცნობილ გამონათქვამს „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას“ დაუკავშირეს და სხვა არაფრის მოსმენა არ სურთ?

— ადამიანის, მისი აზროვნებისა თუ არსებობის ერთ ფრაზაზე, ერთ ქმედებაზე, ერთ მახასიათებელზე — იქნება ეს ეთნიკური წარმომავლობა თუ რელიგიური შეხედულება — დაყვანა იმ უკიდურესობის ერთ-ერთი გამოვლინებაა, რასაც ზემოთ ზედმეტი რომანტიზირება ვუწოდე.

რაც შეეხება მამარდაშვილის ფრაზას, ზოგჯერ ამა თუ იმ აზრის გავლენა იმდენად ღრმა შრეებში აღწევს, რომ მისი პირველწყაროს მოძიებაც კი რთულია ხოლმე. ეს ფრაზა არისტოტელეს გამონათქვამის ერთგვარი პერიფრაზია („პლატონი ჩემი მეგობარია, თუმცა ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარი“), რომელიც, თავის მხრივ, „ფედონში“ პლატონის მიერ სოკრატეზე შენიშვნიდანაა აღებული, რომლის წყაროც, ღმერთმა იცის, სადაა მოსაძიები — ალბათ შუამდინარულ ან ეგვიპტურ კულტურაში (ამაზე მიხეილ ჯავახიშვილის „გივი შადური“ გამახსენდა. რაღაც ამდაგვარს ამბობს: ჩვენი უძველესი წინაპრების საფლავებს რომ დავუწყოთ გამოკიდება, შუამდინარეთში მოგვიწევს გადაბარგებაო).

ფილოსოფიის, სიბრძნისა და ჭეშმარიტების ძიების უნივერსალური გადმოსახედიდან, მამარდაშვილი იმ უძველესი კულტურის გამხმოვანებელია, რომლის ორგანული ნაწილი ვიყავით და ვართ ჩვენც. კონკრეტული ისტორიული პერიოდის გადმოსახედიდან კი თვითგადარჩენისთვის ბრძოლის პირობებში, ასეთი მიდგომა უდროო და უადგილოა, მართალია, მაგრამ სახიფათო და გაბედულიც ამასთანავე. სოკრატე ხომ პოლიტიკურად ქაოტურმა სიტუაციამ შეიწირა — მისი ზოგადსაკაცობრიო აზრებისთვის, შიდა სისხლისმღვრელი ომების პირობებში, დრო არ იყო. იქიდან მოყოლებული, ფილოსოფოსი რის ფილოსოფოსია, თუ უდროო და უადგილო არაა.

— თქვენ მამარდაშვილის ნააზრევს იტალიურ ენაზე თარგმნით. ამბობთ, რომ კარგად გინდათ, ის გააცნოთ იტალიელებს, ევროპას... რატომ გადაწყვიტეთ ეს? რა გინდათ, ამით უთხრათ თუ დაანახვოთ იტალიელებს, ზოგადად ევროპას? როგორია თქვენეული ახსნა, რისი თქმა უნდოდა მამარდაშვილს ამ ფრაზით — „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას“?

— იმ სულიერი ნათესაობის ხაზგასასმელად დასჭირდა, ძველბერძნული და რომაული კულტურის მემკვიდრე ევროპასთან რომ გვაკავშირებს. ამ მხრივ, მამარდაშვილი გენეტიკურად ევროპელი მოაზროვნე იყო, ყოველგვარი ძალდატანებისა თუ ხელოვნურობის გარეშე. ჩვენმა კულტურამაც უმაღლეს მწვერვალს ხომ მაშინ მიაღწია, როცა ბერძენ-ბიზანტიელ მეზობელთან დიალექტიკაში სულიერი თუ მატერიალური ცხოვრების მოწყობის თავისებურ, ჩვენთვის ყველაზე მისადაგებულ ხერხს ვეძებდით. ეს დიალექტიკა როცა მოიშალა, მონღოლების შემოსევის შემდეგ, კარგად ვიცით, რა ბედიც ეწია ამ კულტურას. მე-19 საუკუნის ქართველმა ინტელიგენციამ ბედის ბორბლის შემობრუნება სცადა და ნაწილობრივ მოახერხა კიდეც. მე-20 საუკუნე კი მთელი თავისი მოულოდნელობით დღემდე გრძელდება და ხან რას გვიქადის, ხან — რას.

მამარდაშვილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქართველის ბუნება ევროპელისას უფრო ჰგავს, ვიდრე აზიელისას. არაერთი საერთო გვაქვს — მოცემულობას არასოდეს ვეგუებით, რაღაც უკეთესს, სულ რაღაც გამოსავალს, ხელჩასაჭიდს ვეძებთ. არ ვჩერდებით, ადამიანის არსებობას მუდმივად კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებთ, ეთიკა თუ ესთეტიკა ერთნაირად გვაღელვებს, ხატოვანება და სიმბოლიზირება ამქვეყნიურთან თუ იმქვეყნიურთან მიმართების მთავარი საშუალებებია, სიცოცხლეს კი განსაკუთრებულ მადლად თუ ღირებულებად აღვიქვამთ (ამ მხრივ რამდენად ნიშანდობლივია თუნდაც ხალხური „სიკვდილო, თავსა არ მოგცემ, თავიც რომ ქვაზედ ახალო!“).

დღეს იმაზე ასჯერ მეტი და უკეთესი შესაძლებლობა გვაქვს, უკეთ გავიცნოთ ევროპული კულტურა, ვიდრე სულხან-საბას თუ თვით მამარდაშვილს ჰქონდათ. საბედნიეროდ, თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, იგივე სულხან-საბას მსგავსად არ გვიწევს „ურწმუნოებს“ ვუმტკიცოთ: „დაიჯერეთ, ასე იყო. ამის მეტი რა გითხრათ“. გონივრულად უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა: გავიცნოთ, ვეზიაროთ, გავიაზროთ.

— „მამარდაშვილის დროის იდეა“ ახსენეთ და აქ არ შეიძლება არ ვთქვათ, რომ მერაბ მამარდაშვილი 80-იან წლებში თსუ-სა და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებს ლექციების კურსს უკითხავდა მარსელ პრუსტის რომანების ციკლზე „დაკარგული დროის ძიებაში“ და უკითხავდა აუდიტორიას, რომლის დიდ უმრავლესობას ეს ნაწარმოები წაკითხულიც არ ჰქონდა... თქვენი აზრით, რისი თქმა უნდოდა ამ ლექციებით მერაბ მამარდაშვილს იმ დროის ქართველი საზოგადოებისთვის? მით უმეტეს, რომ კრიტიკოსების აზრით, „მსოფლიო ლიტერატურაში არ არსებობს სხვა შედევრი ასეთი მკვეთრად გამოკვეთილი აქცენტით დროზე, დროზე რომელიც დაკარგულია და წარსულთან ასოცირდება“. „დაკარგული დრო“ და „დაკარგული სამშობლო“... — რას იტყვით ამგვარ ასოციაციაზე?

— თუ რომელიმე ლიტერატურულ ნაწარმოებზე შეიძლება ითქვას, რომ ფენომენოლოგიური მეთოდის „გაფორმებაა“, ეს სწორედაც რომ „დაკარგული დროის ძიებაა“. წარმოვიდგინოთ ოთახი, რომელშიც ახალგაზრდა კაცი, ცოტა სნობი და ცოტა მონომანი („ცისფერყანწელებს“ უყვარდათ ეს სიტყვა), ყველა საგანს — იქნება ეს კონკრეტული კოვზი თუ ბზარი ჭერზე, თუ უბრალოდ მოგონება, შეგრძნებები - ისე უყურებს თითქოს პირველად ხედავდეს, თითქოს მანამდე არაფერი სმენოდეს მათზე. საკუთარ შეგრძნებებსაც კი როგორც საგნებს, ისე უყურებს, ცდილობს, მათი არსი „დაიჭიროს“ დროში და, შესაბამისად, დროის არსი დალანდოს მათში. ეს „ხდება“, ძალიან რომ გავასქემატუროთ, თორმეტივე ტომში. სიტყვა „ხდომა“ შემთხვევით არ მიხმარია: ეს „მოვლენები“ წარმოადგენენ ამ ახალგაზრდის „ყოფნას სამყაროში“, მისი მხრიდან დროის და შესაბამისად ადამიანის — დროში განვრცობილი ამ არსების — შეცნობის სურვილს. რაც მთავარია, ასეთი „ფილოსოფიური მიდგომა“ თავისუფლების პირობებშია შესაძლებელი მხოლოდ.

ქართველ ახალგაზრდებთან მამარდაშვილის მხრიდან ამ ყველაფერზე საუბარი, ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობის მატარებელი იყო: ჩვენი არსებობა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ვეძებთ გამოსავალს იმ უსიერი ტყიდან, რასაც შეუქცევადი ისტორიული აუცილებლობა ჰქვია. თითოეული ჩვენგანი საკუთარ „ტოპოლოგიურ გზას“ უნდა ეძებდეს და არც ერთი იდეა — საგნებზე, დროზე, ადამიანზე — გაუაზრებლად, მზამზარეულად არ მიიღოს. საკუთარ „მოვლენებს“ უნდა ვეძებდეთ — სადაც საკუთარ თავზე რაღაცას გავიგებთ, სადაც ყველაზე კარგად მოვახდენთ ჩვენი ნიჭის რეალიზებას, სადაც „თავს სახლში ვიგრძნობთ“. რას გვაგონებს ასეთი მიდგომა? მე ვიცი, რასაც მაგონებს: ახალგაზრდების შემზადებას, დროის არსზე დაფიქრებისკენ, ახალ „მოვლენებთან“ შეხვედრის მზადყოფნისკენ მოწოდებას. რამდენად მომზადებული დახვდა ახალგაზრდა თაობა იმ მოვლენებს, მალე რომ თავს დაატყდა, ეს უკვე სხვა თემაა.

— დროც ცხადყოფს, რომ ადამიანი მუდმივად უნდა იყოს მზად „ახალ „მოვლენებთან“ შესახვედრად“. ტრადიციული ღირებულებებისა და გლობალური ტენდენციების შეჯახებაც სერიოზულ მზადყოფნას ითხოვს. რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ მათი თანაარსებობა და რამდენად პრობლემური ზოგადად ქართველი ახალგაზდებისთვის დილემა — გააკეთონ არჩევანი ტრადიციულ ფასეულობებსა და თანამედროვე ცხოვრების სტილს შორის?

— ზემოთ რაც ვთქვი გააზრებაზე და ჩვენი გზის პოვნაზე, დღევანდელობასაც ესადაგება, რა თქმა უნდა. არაფერი უნდა დავტოვოთ „ბედის ანაბარა“, ყველაფერს უნდა დავუკვირდეთ, ჩავუღრმავდეთ, უბრალოდ ყურმოკრული არაფერი დავიჯეროთ. ისტორიული გარდატეხის პერიოდი დღეს მარტო ჩვენ არ გვიდგას — ეს ბევრად უფრო ეპოქალური მოვლენაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ტექნოლოგიების განვითარება, სიცოცხლის გახანგრძლივება ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, გაუდაბნოება, გარემოს დაბინძურება. დღეს ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ ჩვენი შიდა პრობლემებიც. უფრო სწორად, ცალი თვალი და ცალი ყური ჩვენ გარეთ მიმდინარე მოვლენებისკენ უნდა გვქონდეს მიმართული. ვინაიდან ეს ყველაფერი ჩვენზეც ახდენს გავლენას - ტრადიციული ღირებულებები და გლობალური ტენდენციები ჩვენში უკვე თანაარსებობენ. მთავარი ისაა, როგორი რეაქცია გვექნება, ავიცილებთ თუ არა ჩვენთვის წარსულში დამახასიათებელ უკიდურესობებს — ზედმეტ ენთუზიაზმს ახალი დროის მიმართ და ზედმეტად გამოკეტვას საკუთარ ნაჭუჭში.

— ნიშნავს თუ არა ეს ყველაფერი ერთი მხრივ, ეროვნული კულტურების მრავალფეროვნების გაქრობისა და მეორე მხრივ, გლობალური „ზეეროვნული მასობრივი კულტურის“ ჩამოყალიბების საშიშროებას?

— ზეეროვნული მასობრივი კულტურა საკმაოდ საშიშ მოვლენად მეჩვენება. ჰანა არენდტიც ასე ფიქრობდა — რაღაც ძალზედ გაურკვეველ და უპრეცედენტო ფენომენად ესახებოდა. ასეთი კულტურის ნაშიერი ალბათ „ზეეროვნული მასობრივი ადამიანი“ იქნება — რაღაც ეს-პერანტო-ინგლისურზე მოსაუბრე, ავტომატიკაზე მიჯაჭვული, ყალბი რელატივისტი. როცა „მულტიკულტურალიზმი“ თუ „ზეეროვნულობა“ ხდება ღირებულება, იქ შეუძლებელია, განსხვავებული მიდგომები წნეხის ქვეშ არ მოექცეს. ესაა „მულტიკულტურალიზმის“ პარადოქსი — იმისთვის რომ იარსებოს, თავის არსს — მრავალმხრივობას, მრავალშრიანობას — უნდა „უღალატოს“. ამ დილემის წინაშე მარტო ჩვენ არ ვდგავართ. გამოსავლის ძიებაში, შესაბამისად, სხვისი გამოცდილების გათვალისწინება — თუკი ასეთი რამ არსებობს, არც კი ვიცი — კარგი დასაწყისი იქნება.

— მწერლობა, ფილოსოფია, თარგმანი — პირადი ცხოვრებისთვის თუ გრჩებათ დრო? ურთიერთობები, განცდები და ემოციები ხომ საკუთრივ თავის დროს ითხოვს? როგორ უთავსებთ ამ ყველაფერს ერთმანეთს?

— ძალიან რთულია ყველაფრის შეთავსება. ცხოვრების ყველა ასპექტს დრო და შრომა სჭირდება, ურთიერთობების ჩათვლით. ვცდილობ, „ბედის ანაბარა“ არაფერი დავტოვო, თუმცა, როგორც ხდება ხოლმე, შეიძლება სწორედაც რომ „მთავარი რამ“ გამომრჩეს, გვერდზე დამრჩეს. ეს საფრთხე არსებობს ნამდვილად. ვცდილობ, ამისთვისაც მზად ვიყო, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, სავარაუდოდ, ყველაფრისთვის მზად არ ვიქნები და ბევრ რამეს ვინანებ ალბათ.

ნატო კორსანტია

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ №96

ასე ამბობენ ტრამპზე

ასე ამბობდა დონალდ ტრამპი

ქართულად გადმოაქცია **გურამ გოგიაშვილმა**

რა თქმა უნდა, ტრამპს ბევრი ნაკლიც აქვს. ტემპერამენტის მხრივ მფეთქავია. არცთუ იშვიათად პროვოკაციაზეც მიდის, თივთონ ახდენს პროვოცირებას, ეგრეევ ამბობს, რაც თავში აზრად მოუვა, — და ხშირად სრულიად წინააღმდეგობრივ ან უსაბუთო, ლიტონ მტკიცებას მოჰყვება ხოლმე. ვილაც-ვილაცები ამბობენ, რომ ტრამპის გამარჯვება სირცხვილია და მტკივნეული მოვლენაა შეერთებული შტატების ისტორიაში, სხვანი ვარაუდობენ, რომ ახლა ის მაინც დაამყარებს წესრიგს და ქვეყანაში, ბოლოს და ბოლოს, დაიწყება ნალოდინევი ცვლილებები.

თუმცაღა დონალდ ტრამპი მრავალწახნაგოვანი პიროვნებაა, ვერ ვიტყვით, ქარიზმა არა აქვსო, საკამათო გავხადოთ ტრამპის ბიზნეს-წარმატებულობა უბრალოდ სიცილის მომგვრელია. ბევრი ცნობილი პერსონისთვის იგი გონებანათელი, პატიოსანი, შრომისმოყვარე, ფულიანი კაცია. ბევრ ქვეყანაში დედამიწის ზურგზე პოლიტიკოსებიც და არაპოლიტიკოსებიც მიესალმნენ ტრამპის გამარჯვებას. აი, ზოგიერთი გამონათქვამი ამერიკელ პრეზიდენტზე.

ბილ ზენკერი, ბიზნესმენი, მწერალი:

ჩემი საქმიანი და პირადი ცხოვრება შეიცვალა დონალდ ტრამპთან მეგობრობის შედეგად. მე სულ სხვა კაცი გავხდი — გულდაჯერებული. ჩემს ავლადიდებას არა ერთი და ორი მილიონი დოლარი შეადგენს. მე საკუთარი თავის დაფასება ვისწავლე, და ეს აისახება ჩემს პირად ცხოვრებაზე. ბევრად უკეთესი ქმარი გავხდი ჩემი ცოლისთვის და ბევრად უკეთესი მამა — ჩემი შვილებისთვის. იმათი ცხოვრებაც შეიცვალა. ჩემი ვაჟი სერიოზულად, უფრო დაგულისყურდა ბიზნესით. დონალდ ტრამპის გამოსვლა რომ მოისმინეს, ჩემი ქალიშვილები მეტი ენერგიითა და მგზნებარებით შეეჭიდნენ ცხოვრებას. ჩემი ცოლი აღფრთოვანებულია იმით, როგორ მივდივარ რისკზე, და მხარში მიდგას ყოველ ჩემს საქმიან წამოწყებაში. თუკი თქვენ მცირე ბიზნესი გაქვთ, ახლობელი ადამიანის მხარდაჭერა წარმოუდგენლად მნიშვნელოვანია.

დონალდი გამრჯელი და პატიოსანია, იმასთან მუშაობა ერთი სიამოვნებაა. როცა კი დონალდთან ოფისში მივდივარ, ტანში ჟრუანტელი მივლის, თუმცა იშვიათი სტუმარი არა ვარ, მაგრამ ყოველი მისვლა მუდამ დაუვიწყარია და ყოველთვის ახალ რასმე ვიგებ. შეხვედრის წინაღამეს მღელვარებისგან ვერ ვიძინებ.

ვლადიმერ ჟირინოვსკი, რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი:

...გაუმარჯოს დონალდ ტრამპს. ტრამპი კარგია, უწინარესად, შეერთებული შტატებისთვის, აგრეთვე ევროპისთვის, ახლო აღმოსავლეთისთვის და ცოტა რუსეთისთვისაც.

ვლადიმერ პუტინი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი:



ტრამპი ეფექტური ადამიანია. რა, ეფექტური არ არის? არა, ეფექტურია. სხვაგვარად არ-ცროდის არ დამიხასიათებია, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმას ვაქცევ, რომ ბატონმა ტრამპმა განაცხადა, მზად ვარ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობათა სრულფორმატიანად აღდგენისთვისო. რა არის ამაში ცუდი, პირიქით, ყველანი მივესალმებით.

იგი წარმოადგენს საზოგადოების იმ ნაწილის ინტერესებს, ეს ნაწილი კი მნიშვნელოვანია შტატებში, რომელიც დაიღალა თვით იმ ელიტისგან, რომელიც ათწლეულობით ხელისუფლებაშია.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №78-87, 89-90, 95-96

ჯონ ვოიტი, მსახიობი:

ეგ ჩვენი პრობლემების გადაწყვეტაა — რესპუბლიკელები ამ ადამიანის გარშემო უნდა გაერთიანდნენ. ჩვენ გვჭირდება, რომ ვინმემ გვაიძულოს და იგივენი გაგვხადოს, რანიც ოდესღაც ვიყავით და რანიც უნდა ვიყვნეთ.

მაიკ ტაისონი, მოკრივე:

მე შავი ბიჭი ვარ, ჯურღმულელი, ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ამერიკელი. ცხოვრებაში ძალიან ბევრი რამ გადამხდა. ტრამპს პირადად ვიცნობ, როცა კი ვხვდებით, ხელს ჩამომართმევს და მაგრად მომიჭერს ხოლმე, აუცილებლად ოჯახს მომიკითხავს.

კიდ როკი, როკ-მუსიკოსი:

მე მხარს ვუჭერ ტრამპს. როგორც ბევრი სხვა, დემოკრატები თუ რესპუბლიკელები, ჩემი აზრით, თუ პრეზიდენტი გახდება ჰილარი ან ბერნი, ან რუბიო, ან ტედი, ყველაფერი ძველებურად დარჩება. ვფიქრობ, ეს ბიზნესმენი ქვეყანას თავის ბიზნესივით მართავს.

მე ექსპერტი არ ვარ პოლიტიკაში, მაგრამ მოვლენათა განვითარებას ვადევნებ თვალყურს. მე ჩემი ქვეყნის წესიერი მოქალაქე ვარ, გადასახადის გადამხდელი... მართოს ბიზნესმენმა ჩვენი ქვეყანა, ძალიანაც კარგი იქნება.

რობერტ კიიოსაკი, ბიზნესმენი, ინვესტორი:

ჩვენ დიდხანს ვმუშაობდით ერთად და კარგად გავიცანი ნამვდილი დონალდი, აგრეთვე დონალდი ხალხში მოტრიალე. ეს ერთი და იგივე ადამიანია შინ და გარეთ. თუმცა ცხოვრებაში ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ხალხში.

ერთად მუშაობისას ვაკვირდებოდი, როგორ აზროვნებს, ვუსმენდი, როცა იმისი აზრები სიტყვებად იქცეოდნენ, ხოლო სიტყვები — მოქმედებებად. უმრავლეს შემთხვევაში ამ ადამიანის აზრები, სიტყვები და მოქმედებები ლოგიკურად აგრძელებენ ერთმანეთს. ალბათ, ამიტომაც არის იგი სწორხაზოვანი და მოუკმეხო. დონალდი სწორხაზოვანია იმიტომ, რომ ამ კაცის აზრები, სიტყვები და მოქმედებანი ერთიან მთლიანს ქმნიან და არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

ჯინ სიმონსი, „დემონი“ THE KISS-ის ჯგუფიდან:

მე მჯერა, რომ დონალდ ტრამპი კარგი ადამიანია. ვფიქრობ, ეგ თავის შემაგულიანებელ სიტყვებზე ბევრად გონიერი და უკეთესია.

კლინტ ისტვუდი, აშშ კინომოღვაწე:

ამერიკა დაიღალა პოლიტკორექტურობისგან... უტრამპოდ ევროპის ნაღვლიანი გამოცდილება მოგველის.

ფილიპ კირკოროვი, მსახიობი:

ტრამპის გამარჯვება ჩემთვის ძალიან სიმბოლურია, მეტადრე დღეს, როცა ქვეყნებს შორის ძალზე დაძაბული ურთიერთობაა. ეს ჩემზე ცუდად მოქმედებს. ორი ასეთი დიდი, დიადი ქვეყანა, აუცილებლად უნდა მეგობრობდეს.

ჰენრი კისინჯერი, ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი და ექსპერტი საერთაშორისო ურთიერთობათა დარგში:

მე მოვუწოდებდი ადამიანებს, წინასწარ ნუ გამოაქვთ დასკვნები, პირიქით, მივცეთ შანსი ახალ პრეზიდენტს განვითარდეს საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, რომელ პოლიტიკასაც ადრე არასოდეს არ მისდევდა.

ცხოვრების ფაქტები

***დონალდ ტრამპი** ნამდვილად თვალსაჩინო პიროვნებაა. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იგი საზოგადოებრიობის დაძაბული ყურადღების არეში იყო მოქცეული. ამ არაორდინარულ პიროვნებაში თანაარსებობენ მსახიობიც, შოუმენიც, ბიზნესმენიც, პოლიტიკოსიც.*

ქვემოთ მოყვანილია ფაქტები, რომლებიც კიდევ უფრო ახლოს გააცნობენ მკითხველს პოლიტიკოსის ცხოვრების ეპიზოდებს.

* * *

დონალდი რთული ბავშვი იყო, მეტისმეტი ენერგიითა და ჰონორით. მშობლები ცდილობდნენ, ეს ყოველივე გარკვეულ პოლიტიკურ კალაპოტში მოექციათ და ნიუ-იორკის სამხედრო აკადემიაში მიაბარეს. თვით ტრამპი აღიარებს: „ორგანიზებულობის გაგებაში არ ვიყავი, სანამ იქ არ მოვხვდიო. მაგრამ იქ ისეთ წესრიგს მიმაჩვიეს, ცოტა რასმე თუ ვარ ისე მიჩვეულიო“.

* * *

ახალგაზრდობაში ტრამპი ცუდი სპორტსმენი არ ყოფილა. სამხედრო აკადემიაში რომ სწავლობდა, კეტბურთის გუნდის კაპიტანი იყო და მწვრთნელისგან საგანგებო რამ პრიზი მიიღო, როგორც საუკეთესო მოთამაშემ.

* * *

ტრამპი ვიეტნამის ომში ვერ მოხვდა, ორჯერ სწავლის გამო გადაუდეს ვადა და კიდევ ერთხელ — სამედიცინო მიზეზით. მერე ახლა წვევამდელთა ლატარიაში ბედნიერი ბილეთი შეხვდა, მაგრამ 1968 წელს მაინც მიიღო უწყება, მაგრამ ქუსლებზე „დეზების“ გამო სამედიცინო კომისია კვლავ ვერ გაიარა და სამხედრო სამსახურისთვის საბოლოოდ დაიწუნეს.

* * *

დონალდი პრინციპულად არც სვამს და არც ეწევა და ამტკიცებს, ერთხელ წამლადაც არ გამისინჯავსო...

* * *

ტრამპი შეგნებულად მიდის სკანდალზე, ისეთ რასმე იტყვის, რომ არ შეიძლება მილიონობით ადამიანის გაღიზიანებლობა. ერთი უაშკარესი მაგალითი — სარკასტული „არიან უფრო ლამაზი ქალები, და ვიცი ისინი!“ ანჯელინა ჯოლის აღიარების გამო გამართულ ლარი კინგის შოუზე მყვანან ნანახნიო.

* * *

შინაგანი ენერგიის მარაგი ტრამპს ჭეშმარიტად ამოუწურავი აქვს. ყოფილა შემთხვევები, როცა რამდენიმე დღე და ღამე გადაბმულად უმუშავია ისე, რომ არ დაუძინია.

* * *

ტრამპი გულზიზღიანია. იძულებულია, რომ ყოველდღე ასობით ადამიანს ჩამოართვას ხელი, ამიტომ მუდამ თანა აქვს ხელსახოცების მარაგი, რათა მუდმივად იწმინდოს ხელები.

* * *

ტრამპის საქმიანი სტილის ერთ-ერთ ნათელ მაგალითად ითვლება ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში უოლმენ-რინგის საციგურაო მოედნის რეკონსტრუქცია. ქალაქის ხელისუფლებამ მრავალი წლის მანძილზე ვერა და ვერ „დაადგა თავი“ ამ პროექტს. ტრამპმა შესთავაზა რეკონსტრუქციის დამთავრება თავისი ფულით. ქალაქი დაეუარა, თანაც რამდენჯერმე, ბოლოს და ბოლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ჩაერივნენ საქმეში, გაარღვიეს ბიუროკრატიული კედელი და ტრამპს სამუშაოების ნება დართო. საქმე ექვს თვეში დამთავრდა, ბიუჯეტში ჩადებული 3 მილიონი დოლარიდან დაიზოგა 750 ათასი დოლარი.

* * *

ყველაზე მაღალი შენობა, დონალდ ტრამპის მიერ აშენებული, ნიუ-იორკშია, Trump World TOWER — გაეროს შტაბბინის მოპირდაპირე მხარეს. შენობა 72-სართულიანია, სიმაღლით 262 მეტრია. ამ შენობის მშენებლობა დამთავრდა 2001 წელს და რამდენიმე წელიწადს ის მსოფლიოში ყველაზე მაღალ საცხოვრებელ სახლად რჩებოდა.

* * *

2008 წელს ტრამპმა რეკონსტრუქციის შემდეგ 100 მილიონ დოლარად გაყიდა თავისი კუთვნილი ადგილ-მამული „პალმ ბიჩ“-ი საერთო ფართობით 4 ათასი კვადრატული მეტრი.

* * *

დონალდ ტრამპი ცოლად ირთავს დაახლოებით ერთი ასაკის ქალებს — 28-დან 34 წლამდე. მეუღლეთა შორის სხვაობა პირველი ქორწინების შემთხვევაში 3 წელიწადი იყო, მეორეში — 18, მესამეში — 24.

(გაგრძელება იძნება)

„რამდენად სწორი იყო საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის დაწესება?.. მე ყოველთვის ამის წინააღმდეგი ვიყავი“

გერმანიაში **გამოქვეყნდა მონაცემები 2017 წელს ჩადენილი დანაშაულებათა შესახებ. „დოიჩე ველე“ შეეცადა იმის გარკვევას, დაზარალდა თუ არა ქვეყნის უსაფრთხოება ლტოლვილთა მოზღვავების გამო და რატომ აქვს დაკავებული განსაკუთრებული ადგილი ქართველებს სტატისტიკურ მონაცემებში.**

„გერმანიაში 2017 წელს 5 მილიონ 762 ათასი დანაშაულია ჩადენილი – ეს ყველაზე მცირე რაოდენობაა 1992 წლის შემდეგ“, – განაცხადა გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა **ჰორსტ ზეეჰოფერმა** 8 მაისს ბერლინში, სისხლის სამართლის საქმეთა ფედერალური უწყების მიერ მომზადებული 2017 წლის კრიმინალური სტატისტიკის წარდგენის დროს, – „და თუ დანაშაულის ამ რაოდენობას ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობაზე გადავანაწილებთ, ასეთი პოზიტიური მდგომარეობა (7 ათასი დანაშაული ყოველ ასი ათას მცხოვრებზე) გერმანიაში უკვე 30 წელია, არ ყოფილა“, – დაამატა მინისტრმა.

მაგრამ იცით, პარადოქსი რაში გამოიხატება? დანაშაულის რაოდენობა სულ უფრო მცირდება, მოსახლეობას კი სხვაგვარი შეგრძნება აქვს – ადამიანებს ჰგონიათ, რომ ბოლო დროს გერმანიის ქალაქების ქუჩებში სიარული სახიფათო გახდა.

იქნებ ლტოლვილები არიან დამნაშავენი? მაგრამ ლტოლვილებს გერმანიის მოქალაქეთა შიშებში ბრალი არ მიუძღვით. ჰორსტ ზეეჰოფერი, რომელიც ადრე ყოველთვის აკრიტიკებდა გერმანიის კანცლერს, მისი აზრით, ზედმეტად ლიბერალურ მიგრაციულ პოლიტიკას, 8 მაისს, სპეციალურად გაუსვა ხაზი, რომ კრიმინალის დონის დაკლება გამოიწვია ჩადენილი დანაშაულის შემცირებამ როგორც გერმანელების, ასევე მიგრანტების მხრიდან, მათ შორის, ლტოლვილებს შორისაც.

მთლიანობაში, გერმანიაში 2017 წელს ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა, 2016 წელთან შედარებით, 9,6%-ით შემცირდა. მკვლელობათა საქმეების გახსნის დონე 95,6%-ს შეადგენს, სოციალური დახმარებით ბოროტად სარგებლობის – 99,1%. კლებულობს ბინების ძარცვა, ჯიბის ქურდობა, ველოსიპედების მოპარვის ფაქტები.

ჰორსტ ზეეჰოფერის აზრით, საცხოვრებელი ბინების ძარცვის ფაქტების შემცირება იმით აიხსნება, რომ პოლიცია უფრო მეტად ყურადღებიანი გახდა, ქალაქის ქუჩებს და საცხოვრებელ რაიონებს უფრო ხშირად პატრულირებს. ასევე თვითონ მოსახლეობაც უფრო ფხიზლადაა, შედარებით უფრო კარგად იცავს თავის ბინას – კარს და სარკმლებს ორსამ საკეტს უკეთებს.

მინისტრის თქმით, დანაშაულის შემცირების კიდევ ერთი მიზეზი ისაა, რომ გერმანია ფართოდ თანამშრომლობს იმ ქვეყნებთან, რომლის მოქალაქეები გერმანელების ბინებს ძარცვავდნენ. მაგალითად, საქართველოსთან. მას შემდეგ, რაც საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ ჩასვლის უფლება მიეცათ, გერმანიაში მკვეთრად იმატა იმ ქართველების რაოდენობამ, რომლებმაც პოლიტიკური თავშესაფრის მიღება მოისურვეს. საქმე იმაშია, რომ ეს მოქალაქეები, თავიანთ „თხოვნაზე“ პასუხის მიღების მოლოდინში, ბინების გატეხვით იყვნენ დაკავებულნი.

ბერლინმა თბილისს ზომების მიღება მოსთხოვა და, რა დასამალია, უვიზო რეჟიმის შეჩერება-გაუქმებითაც კი დაემუქრა.

იმოქმედა თუ არა ამ მუქარამ? „დოიჩე ველეს“ კორესპონდენტის ამ კითხვაზე ჰორსტ ზეეჰოფერმა ასე უპასუხა: „საქართველოდან მიგრანტების ნაკადი ტალღისებურია. ზოგჯერ არის შემაშფოთებელი პიკები, თუმცა შემდეგ ხდება ნაკადის შემცირება. ამიტომ მე არ შემიძლია, სიტუაციის ზუსტი პროგნოზი გავაკეთო... თუმცა მინდა, გითხრათ, რომ ჩემი სამინისტრო სწავლობს საკითხს, თუ რამდენად სწორი იყო საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის დაწესება. მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი“.

რასაკვირველია, თვითონ ბერლინს არა აქვს იმის უფლება, რომ საქართველოსთვის კვლავ სავიზო რეჟიმი შემოიღოს. ეს ევროკავშირის პრეროგატივაა. მაგრამ ჰორსტ ზეეჰოფერი გვპირდება, რომ რაც შეიძლება სწრაფად შეიტანს საქართველოს ე.წ. „უსაფრთხო ქვეყნების“ სიაში. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გერმანიის ხელისუფლებას უფლება ექნება, საქართველოს მოქალაქეების განცხადებები თავშესაფრის მიღების თაობაზე გამარტივებული პროცედურით განიხილოს და სწრაფად მოახდინოს მათი დეპორტი სამშობლოში.

პრესკონფერენციის დროს მინისტრს კონკრეტული ციფრები ხელთ არ ჰქონდა, მაგრამ ცოტა მოგვიანებით „დოიჩე ველეს“ ჟურნალისტებს საჭირო მონაცემები სამინისტროს თანამშრომლებმა გადმოუგზავნეს. როგორც აღმოჩნდა, გერმანიაში თავშესაფრის მაძიებელ საქართველოს მოქალაქეთა მიერ 2017 წელს ჩადენილი დანაშაულის წილი საერთო რაოდენობის მხოლოდ 2,1%-ს შეადგენს, თანაც ქართველების რაოდენობა ყველა ქვეყნიდან მაძიებელთა შორის მხოლოდ 0,7%-ია. საერთოდ კი დაპატიმრებული საქართველოს მოქალაქეების 75% ძირითადად ქურდობით იყვნენ დაკავებულნი.

„DEUTSCHE WELLE“ **(გერმანია)**

არჩეულია ისტორიაში უხუცესი პრემიერ-მინისტრი

მალაიზიელი **მოჰათჰირ მოჰამადი ემზადება, გახდეს უხუცესი პრემიერ-მინისტრი მსოფლიოს ისტორიაში. იუწყება** The Guardian.

92 წლის მოჰამადი იყო პრემიერ-მინისტრი 1981-2003 წლებში. ის კვლავ აპირებს ამ თანამდებობის დაკავებას.

მალაიზიის მეფემ ხანდაზმულ პოლიტიკოსს ფიცი გუშინ მიაღებინა.

„ჩვენ ისეთი ბედნიერები ვართ. ეს არის დღე, რომლითაც მალაიზიამ უნდა იამაყოს“ – აცხადებენ მოსახლეები, რომლებიც ქუჩაში გამოვიდნენ სპეციალურად ამ დღისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო ღონისძიებაზე.

ის არის პოლიტიკოსი, რომლის კარიერა ოთხ ათეულ წელზე მეტია, გრძელდება.

გერმანიიდან საქართველოს 68 მოქალაქე გამოაძევეს!

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ევროკავშირის ქვეყნებიდან ქართველების დეპორტაციის პროცესს განცხადებით ეხმაურება.

„საქართველოს მიერ „უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ გაფორმებული შეთანხმებების ფარგლებში, გერმანიიდან ჩარტერული რეისით საქართველოს 68 მოქალაქის რეადმისია განხორციელდა. ავიარეისის დაგეგმვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გერმანიის ფედერალური პოლიციისა და ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტო „ფრონტექსის“ ერთობლივი კოორდინაციით განხორციელდა.

აღნიშნული მოქალაქეების დაბრუნება მოხდა გერმანიიდან, შვეიცარიიდან, ბელგიიდან და ისლანდიიდან. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ამავე რეისით, რეადმისირებულთა გარდა, ქვეყანაში საკუთარი სურვილით საქართველოს 5 მოქალაქე დაბრუნდა.

დუსელდორფი-თბილისის ჩარტერული რეისით საქართველოში დაბრუნდნენ ის მოქალაქეები, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში ყოფნის რეჟიმს აღარ აკმაყოფილებდნენ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მიგრაციის საკითხებზე პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობას აქტიურად განაგრძობს,“ – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

სასამართლომ მასწავლებლებს სკოლაში ხიჯაბის ტარება აუკრძალა

გერმანიაში **სასამართლო შრომით საკითხებზე, მივიდა დასკვნამდე, რომ კანონი, რომელიც ავალდებულებს მასწავლებლებს, პოლიციელებს და სასამართლოს თანამშრომლებს თავი აარიდონ თავიანთი რელიგიის დემონსტრირებას, შეესაბამება ქვეყნის კონსტიტუციას.**

გერმანიის ყველა 16 ფედერაციული ნაწილი, დამოუკიდებლად წყვეტს, დაუშვას თუ არა მასწავლებლებისთვის ხიჯაბის ტარება. სამი წლის წინათ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა სრული აკრძალვა მათი ტარებისთვის, რელიგიის თავისუფლების მოტივით.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოზე ფარანჯის ტარება მთელი ქვეყნის მასშტაბით იკრძალება, ხოლო ხიჯაბის ტარების გადაწყვეტილებას, რომელიც არ ფარავს სახეს, გერმანიის 16-ვე მიწის ხელისუფლება იღებს დამოუკიდებლად.

◎ დაბალი საფეხური

უნივერსიტეტის პროფესორი არ არის მომზადებული საიმისოდ, რომ სკოლის მოსწავლეს ელაპარაკოს!..

პროფესორები **სკოლებში ონლაინლექციებს წაიკითხავენ. როგორც განათლების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი აცხადებს, სამინისტრომ ჩვენს წამყვან პროფესორებს, გამოჩენილ მეცნიერებს, ბრწყინვალე პედაგოგებს სთხოვა დამატებითი ონლაინგაკვეთილების ჩატარება მოსწავლეებისთვის. ეს პროცესი მოიცავს მთელ საქართველოს, 2085-ივე საჯარო სკოლას. ასევე, კერძო სკოლებშიც ონლაინრეჟიმით დამატებითი სპეციალური გაკვეთილები ჩატარდება.**

მინისტრმა განმარტა, რისთვის არის საჭირო ონლაინლექციების წაკითხვა. მისი თქმით, სპეციალური ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ პროფესორები ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე მოყვებიან თავიანთი დარგის ხიბლს, სილამაზეს, თუ რატომ აირჩიეს თავად ესა თუ ის პროფესია. ყველა დარგს გააჩნია თავისი უნიკალური მხარე და სწორედ ამას დაანახვებენ ჩვენს ბავშვებს იმისთვის, რომ მოსწავლეებმა აღმოაჩინონ, რომ თურმე ჰქონიათ ამა თუ იმ დარგის ნიჭი. ონლაინლექციების შემდეგ შეიძლება, მოზარდებში მეცნიერებისადმი, ფიქრისადმი, ინტელექტუალური შრომისადმი სიყვარულმა გაიღვიძოს.

ცოცხალი ლექციებისგან განსხვავებით, ონლაინლექციებს შედარებით დაბალ საფეხურად მიიჩნევენ პროფესორები.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჯემალ მებონია** აცხადებს, რომ პროფესორსაც გაჩნია, თუ როგორ შეძლებს ის, გააგებინოს ბავშვებს სათქმელი. ეს დამოკიდებულია ისევ პროფესორის კვალიფიკაციაზე, მის გამოცდილებაზე. თუმცა თავად ონლაინსწავლების პროცესი რამდენად კარგია, ამის თქმა ცოტა რთულია. ჯემალ მებონიას შეფასებით, ცოცხალი ლექციების ჩატარება მაინც შეუცვლელია და დისტანციური სწავლება ამ პროცესს ვერ შეცვლის.

„თავის დროზე, კინო რომ შემოვიდა, ჩათვალეს, რომ თეატრი მოკვდებოდა, მაგრამ თეატრი არ მოკვდა. პირიქით, უფრო გაძლიერდა. თეატრს თავისი ხიბლი აქვს და ადამიანებმა დაინახეს ცოცხალი კავშირის უპირატესობა. კინო შემოსული იყო, მაგრამ სულ სხვა ხიბლი ჰქონდათ ჩვენს კორიფეებს— ვახტანგ ჭაბუკიანს, აკაკი ხორავას... თეატრი ისე პოპულარული იყო, რომ ბილეთს ვერ იშოვიდით. ონლაინლექციების შემთხვევაშიც იგივე ითქმის. ცოცხალ პროცესს ვერავინ შეცვლის, მთავარია, როგორმე ჩვენი მასწავლებლების დონე ავწიოთ. სამწუხაროა, რომ მაინცდამაინც უცხოელებმა უნდა გვითხრან, რომ ჩვენი ბავშვების წიგნიერების დონე დაბალია. არადა, სწორედ ფუნდამენტურ საგნებში გვქონდა მოწინავე პოზიციები მთელ მსოფლიოში. განათლება უპირველესი მიზანი უნდა იყოს საქართველოში, გაუნათლებელი ხალხით ვერაფერს გავაკეთებთ. ჩვენი ბავშვები კი კომპიუტერებთან არიან ჩამსხდარნი, ჩასუქებულნი. სპორტმა არ უნდა დაკარგოს თავისი ხიბლი. თორემ ერი დაკნინებისკენ წავა“, — აღნიშნა ჯემალ მებონიამ.

განათლების პოლიტიკის მკვლევარი, პროფესორი **სიმონ ჯანაშია** აცხადებს, რომ ონლაინლექცია მაინც ექსპერიმენტია და გამოჩნდება, რამდენად შეუძლიათ ლექტორებს, დააინტერესონ მოსწავლეები. უნივერსიტეტის პროფესორი მაინცდამაინც არ არის მომზადებული საიმისოდ, რომ სკოლის მოსწავლეს ელაპარაკოს. ხშირად უფროსებს გვგონია, რომ მოსწავლეებს რაღაც აინტერესებთ, მაგრამ, სინამდვილეში, სხვა რაღაცები უფრო აინტერესებთ. ამიტომ ლექტორმა უნდა იცოდეს ასაკობრივი თავისებურებები, უნდა იცოდეს, როგორ დაალაგოს მასალა, რომ მოზარდებისთვის აღსაქმელად არც ზედმეტად რთული იყოს და არც ზედმეტად მარტივი. გარდა ამისა, ლექტორმა უნდა მოძებნოს საერთო ინტერესი თავის მოსწავლეებთან ერთად. ეს მარტივი მისაღწევი არ არის.

— ზოგადად, დისტანციური სწავლება საქართველოში საკმაოდ განუვითარებელია და კარგია, რომ რაღაც ინიციატივა არსებობს ამ თვალსაზრისით. თუმცა არ ვიცი, რა იგულისხმება ონლაინლექციებში. ეს ჩაწერილი ლექციები იქნება, თუ პირდაპირ რეჟიმში წაიკითხავენ ლექციებს?! ზოგადად, ონლაინსწავლება მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის, მათ ბევრი რამის სწავლა მოუწევთ დამოუკიდებლად. ჯერ კიდევ წინა მინისტრის დროს დაიწყო ამაზე საუბარი. იმ პერიოდში არსებობდა იდეა, რომ სკოლაში მყოფი მოსწავლეებისთვის პირდაპირ რეჟიმში ჩაეტარებინათ ონლაინლექცია, ან წინასწარ ჩაწერილი ლექცია ეჩვენებინათ, — აღნიშნა სიმონ ჯანაშიამ.

ონლაინლექციების შეფასებისას ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლია ელიავა** აცხადებს, რომ ასე ჩვენ შეიძლება მივიდეთ იქამდე, რომ ბავშვი შეიძლება სახლში იჯდეს, ან იწვეს ტახტზე და მას ონლაინრეჟიმში უკითხავდნენ გაკვეთილებს. ასეთ მარაზმამდე კი არ უნდა დავიდეთ.

— ცოცხალი ლექცია განსაკუთრებულია. მით უმეტეს, აქცენტი ახლა ყოველთვის კეთდება ინტერაქტიულ (გამოკითხვით) გაკვეთილზე, ინტერაქტიულ ლექციაზე, როდესაც შენ არა მარტო რაღაცას უყვები მოწაფეებს ან სტუდენტებს, არამედ მათ აქტიურად ეკონტაქტები, კითხვებს უსვამ, მათ პასუხებს უსმენ. თუ ვიღაც მონდომებულია, ონლაინლექცია ჩაწეროს, კი ბატონო, ჩაწეროს ვიდეო, ატვირთოს ინტერნეტში და ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება. შეიძლება, მეთოდურ ლიტერატურაშიც შეიტანონ ონლაინგაკვეთილები და ვიღაცამ სიამოვნებით უყუროს, თუკი ამის სურვილი გააჩნია. თუმცა სკოლაში მოვითხოვოთ ამის გაკეთება, ეს ნიშნავს, რომ, ბოლოს და ბოლოს, მივალთ „დივანის სწავლებამდე“, — აცხადებს ლია ელიავა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი კოტე ჩოკორაია მიიჩნევს, რომ, ზოგადი პათოსიდან გამომდინარე, ინტერნეტტექნოლოგიების გამოყენება საინტერესო და კარგია. დღეს ჩვენ ციფრულ სამყაროში ვცხოვრობთ და ყველა რესურსი უნდა გამოვიყენოთ.

— ზოგადად, აკადემიური ცოდნის გადაცემა მოსწავლეებისთვის კარგი იდეაა. მოსწავლეებს ხელი უნდა შევუწყოთ, როგორც ეროვნულ-სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის გადაცემაში, ასევე, სხვა დამატებითი ცოდნის მიღებაში. ამაში თუ აკადემიური საზოგადოებაც ჩაერთვება, კარგი იქნება, — გვითხრა კოტე ჩოკორაიამ.

მანანა ნოზაძე

„გაამწვანე შენი უბანი“ №85 საჯარო სკოლაში

ისნის რაიონის გამგეობის ორგანიზებით, აქცია „გაამწვანე შენი უბანი“ გრძელდება. გამწვანების აქცია ამჯერად, №85 საჯარო სკოლაში გაიმართა, სადაც ისნის რაიონის გამგებელმა კახა კაბუჩიძემ საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად, წიწვოვანი მარადმწვანე ხეები და ბუჩქები დარგო.

ღონისძიებაში ასევე, ისნის რაიონში მდებარე სოციალური თერაპიის სახლში დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მონაწილეობდნენ, რომელთაც ისნის რაიონის გამგეობის დაკვეთით, ხელნაკეთი „ჩიტის სახლები“ დაამზადეს.

მხატვრულად გაფორმებული სახლები სკოლის ეზოს ტერიტორიაზე არსებულ ხეებზე განთავსდა. გარდა ამისა, აქციის ფარგლებში, მოსწავლეებმა სკოლის ეზოს კედლები თემატური კომპოზიციებით მოხატეს. ისნის რაიონის გამგეობა აქციას „გაამწვანე შენი უბანი“ რგვების სეზონის ბოლომდე განაგრძობს და მწვანე სივრცეებს კიდევ არაერთ მისამართზე მოაწყობს.

გადაუდებელი დახმარების დროს 112-ის ოპერატორები მოსწავლის საცხოვრებელ მისამართს დაადგენენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-სა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას“ (EMIS) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტის თანახმად, „112“-ის ოპერატორს შესაძლებლობა ექნება, გადაუდებელი შემთხვევის დროს, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემა — eSchool-ის საშუალებით, ოპერატიულად დაადგინოს დაზარალებული ბავშვის სახელით, გვარითა და სკოლის მონაცემით მისი საცხოვრებელი მისამართი და მშობლების საკონტაქტო ინფორმაცია. აღნიშნული სიახლე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც მოსწავლემ ზუსტად არ იცის საკუთარი მისამართი, მაგრამ იცის თავისი სკოლის სახელწოდება და ნომერი.

ინფორმაციის მიმოცვლა დახურული ქსელის საშუალებით განხორციელდება, რაც გულისხმობს იმას, რომ მონაცემები გარეშე პირებისგან დაცული იქნება და მათზე წვდომა ექნებათ მარტო „112“-ის ოპერატორებს, მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე თავის ადგილსამყოფელს ვერ დაასახელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრსა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას შორის მემორანდუმის გაფორმება ხელს შეუწყობს, რომ გადაუდებელი შემთხვევის დროს კიდევ უფრო ოპერატიულად მოხდეს რეაგირება, როცა დაზარალებული ბავშვია და წამები გადამწყვეტია.

ლიტვა საბავშვო შამპანურების აკრძალვას ითხოვს

ლიტვაში სურთ, ბავშვებისთვის შეთავაზებული ზოგიერთი საქონლის აკრძალვა მოხდეს. საუბარია იმ საქონელზე, რომელიც ახდენს ალკოჰოლის იმიტაციას. მაგალითად ლიმონათი, რომელიც ისხმება შამპანურის ტარაში.

ჯანდაცვის საკითხებში საპარლამენტო კომიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, საბავშვო შამპანურის მოხმარება უყალიბებს ბავშვებს ჩვევას. იქმნება ქცევის მოდელი, რომ დღესასწაული შეუძლებელია ალკოჰოლური სასმელების გარეშე. მათ უყალიბდებათ დადებითი აზრი ალკოჰოლის მოხმარების შესახებ და სწორედ ამიტომ არსებობს დიდი ალბათობა, რომ უფრო ზრდასრულ ასაკში მათ გაუჩნდებათ უფრო მეტი სურვილი ნამდვილი ალკოჰოლური სასმელების მიმართ.

სამეცნიერო კვლევები ასკვნიან, რომ ტელევიზიის საშუალებით რეკლამის აღქმა ბავშვებს 5 წლის ასაკიდან შეუძლიათ, ხოლო გაცნობიერებულად მისი აღქმა, მხოლოდ 7-8 წლიდან ხდება. მაგრამ მათ არ შეუძლიათ თავი დაიცვან ხანგრძლივი ზეწოლისგან, რომელიც მუდმივად ხდება რეკლამის სახით.

◎ ვითარება

როდის გაიფანტება ბურუსი?

მოლოდინის საპირისპიროდ, გუშინ სასტუმრო „ბოლტმორში“ ძიუდოს ფედერაციის რიგგარეშე საანგარიშო ყრილობა მაინც გაიმართა.

სავარაუდო და სასურველი იყო, რომ დაპირისპირებულ მხარეებს კონსენსუსისკენ პირველი, თუნდაც სიმბოლური ნაბიჯი მაინც გადაედგათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. პირიქით, მეამბოხეებმა დარბაზი პროტესტის ნიშნად მალევე დატოვეს, რამაც კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა ვითარება. მოვუსმინოთ მოქმედ პირებს:

დავით ქევხიშვილი:

„მე ყველაფერი შევაჯამე და მოვიწვიე ყრილობა. მივესალმები სამინისტროს პოზიციას, რომელმაც კომისია შექმნა. ორივე მხარეს შესაძლებლობა გვექნება, რომ წარმოვადგინოთ პოზიციები და დოკუმენტაციები. ყრილობის დელეგატებს ავუხსენი, თუ რა მდგომარეობაა ფედერაციაში. სპორტსმენები ცდებიან, როცა ასეთი ფორმით ითხოვენ ფედერაციის პრეზიდენტის გადადგომას. საბოლოოდ საერთო ენა მაინც გამოინახება. 2009 წელსაც იგივე სიტუაცია იყო ნაკრებში, მაგრამ არასდროს საჯაროდ არ გამოვსულვარ და არ მითქვამს არაფერი. ფედერაციის პრეზიდენტთან არასდროს არაფერი გამიპროტესტებია და არ გამომიცხადებია ბოიკოტი. როდესაც შენ კაპიტანი ხარ, არ შეიძლება ასე პროვოცირებდე და ბიჭებს ამ გზაზე აყენებდე. ვალდებული ვარ აღმასკომისა და სამინისტროს წინაშე და ჩემს პოზიციას მათთან დავაფიქსირებ. მთავარი პრობლემა სხვა არის. ლიპარტელიანს მოვუწოდებ, როგორც გუნდის კაპიტანი, ისე მოიქცეს. ვფიქრობ, შესაძლებელია ყველაფრის ნორმალურ პროცესში გადატანა. გაერთიანებულ ფორმატში მზად ვარ გავცე პასუხი. რა გადაწყვეტილებასაც მიიღებს ყრილობა, იმ გადაწყვეტილებას დავემორჩილები. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვისწავლოთ, რომ პრობლემებზე მსჯელობა წესების ფორმატში წარიმართოს“.

ვარლამ ლიპარტელიანი:

„ჩვენ დავაფიქსირეთ ჩვენი პოზიცია და ვთხოვეთ ყველა იქ შეკრებილ ადამიანს, რომ მიიღოს გონივრული გადაწყვეტილება. ნუ გაწირავენ ქართულ ძიუდოს და ნუ მიიყვანენ სავალალო მდგომარეობამდე. ჩვენ ველოდებით გონივრულ გადაწყვეტილებას და ვთხოვთ ყველას, ვისაც ძიუდოზე გული შეგტკივათ, ვისაც სიტყვა გეთქმით, გეხვეწებით, ნუ დაგვღუპავთ, გულთან მიიტანეთ ჩვენი პრობლემა. არანაირი ძალა, პოლიტიკა ჩვენ არ გვმართავს, სუფთა ხელებით, ჯანსაღი გულით გვინდა იყოს ძიუდოში ნორმალური სიტუაცია და არ იყოს ერთპიროვნული მმართველობა, ერთი საძმაკაცოს მმართველობა“.

მიხეილ გიორგაძე:

„შევთანხმდით და ჩამოყალიბდა ერთობლივი კომისია. მის შემადგენლობაში სამინისტროს მხრიდან ვიქნებით მე და ჩემი მოადგილეები, მიხეილ ყაველაშვილი, შოთა ხაბარელი, ლერი ხაბელოვი, სპორტის კომიტეტისა და ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები. იმ კომპეტენციიდან და პოლიტიკური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც ამ ინსტიტუციებს აქვთ, იქნება მიღებული გადაწყვეტილება. უახლოეს დღეებში მოხდება ამ საკითხების შესწავლა და შედეგებს, შესაბამის გადაწყვეტილებას, რომელსაც კომისია მიიღებს, საზოგადოებას ოპერატიულად მივაწვდით. სიტუაციის სიმწვავიდან გამომდინარე, ამ პროცესს არ გავაჭიანურებთ“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია

შოტლანდია ტიერ1-ის პირველი ნაკრებია, რომელიც საქართველოში ჩამოვა და „ბორჯღალოსნებთან“ ტესტ-მატჩს თბილისში ჩაატარებს!

ეს 2019 წლის მსოფლიო თასის გათამაშების წინ მოხდება და გუნდები მას იაპონიაში გასამართი ტურნირისთვის მოსამზადებელ ეტაპად განიხილავენ. სერია ორი შეხვედრისგან შედგება. სქოთებს თბილისში, „დინამო არენაზე“ 24 აგვისტოს ვუმასპინძლებთ, ხოლო 6 ან 7 სექტემბერს იგივე მეტოქეს შოტლანდიის მთავარ სარაგბო არენაზე ედინბურგის „მარიფილდზე“ ვერკინებით.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანელებმა საქართველოში ჩამოსვლის სურვილი ჯერ კიდევ 2016 წელს გამოთქვეს, როდესაც ქალაქ კილმარნოკში მიგვიღეს და სიტყვა შეასრულეს!

პირობის ხორცშესხმასა და მომავალი ბრძოლის მნიშვნელობაზე რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გოჩა სვანიძემ** ისაუბრა:

„2019 წლის მსოფლიო თასამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება და საქართველოს ნაკრები მოსამზადებელ კამპანიაშია ჩართული. აღნიშნული ეტაპის ბოლოს „ბორჯღალოსნები“ ორ მატჩს გამართავენ შოტლანდიის ნაკრებთან, რაც ჩვენს სამზადისს სრულყოფს. ეს შეხვედრები სამწვრთნელო შტაბს სელექციის პროცესშიც დაეხმარება და კიდევ ერთ შანსს მისცემს იაპონიისთვის ოპტიმალური გუნდის შესარჩევად.

შოტლანდიასთან მატჩს ჩვენთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს - ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც პირველი დონის სარაგბო ქვეყანა საქართველოში ჩამოვა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო შოტლანდიის რაგბის კავშირს, რადგანაც 2016 წელს მათთან გამართული ტესტის შემდეგ დადებული პირობა შეასრულეს და მსოფლიო თასის წინ საქართველოში ჩამოვლენ“.

ტიერ1-ის ნაკრების პირველი ვიზიტით კმაყოფილია მაღალი სპორტული მიღწევების დირექტორი **ბაჩო ხურციძე:**

„ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველო პირველი დონის სარაგბო ქვეყანას მასპინძლობს და ამ შესაძლებლობით უზომოდ კმაყოფილები ვართ. ორი მოსამზადებელი მატჩის გამართვა ისეთი ტოპ-გუნდის წინააღმდეგ, როგორიც შოტლანდიაა, ვფიქრობ, ჩვენთვის დიდი გამოცდილება იქნება და ვიმედოვნებ, რომ ეს ყველაფერი პოზიტიურ გავლენას იქონიებს ორივე მხარეზე.“

რაგბი უჩვეულო დროს

თბილისური მატჩი უჩვეულო დროს, ზაფხულის ბოლოს გაიმართება. ქართული რაგბის გულშემატკივრებს საყვარელი გუნდის ხილვის საშუალება აქამდე წელიწადში მხოლოდ ორჯერ, თებერვალ-მარტსა და ნოემბერში ჰქონდათ.

შოტლანდია საქართველოში მოდის!

გამონაკლისი 2018 წელია, რადგან 31 მაისს „ფრანგი ბარბაროსები“ უნდა მივიღოთ, თუმცა, ტიერ1-ის გუნდის პირველად მასპინძლობა განსაკუთრებული მოვლენაა და ქომაგსაც ზაფხულის არდადეგების განსხვავებულად დაგეგმვა მოუწევს.

ამ შესაძლებლობით კმაყოფილია **მილთონ ჰეიგი:**

„2019 წლის მსოფლიო თასის გათამაშების წინ ორი ასეთი მატჩის გამართვა ჩვენი გუნდისათვის ისტორიული მოვლენაა. ისტორიას ქმნის ისიც, რომ შოტლანდია საქართველოში პირველად ჩამოვა და უფრო მეტიც — ის იქნება პირველი ტიერ ერთის გუნდი, რომელიც ქართულ მიწაზე საერთაშორისო მატჩს გამართავს.

ეს არის ბოლო წლებში საქართველოსა და შოტლანდიის ურთიერთობების დამაგვირგვინებელი მტკიცებულება. „ბორჯღალოსნებს“ წილად ხვდათ პრივილეგია, ეთამაშონ ასეთი დონის ნაკრებს საკუთარი ოჯახის, მეგობრებისა და გულშემატკივრების წინაშე.

ჩვენ მიზნად დავისახეთ, რომ მომავალი მსოფლიო თასისთვის კიდევ უფრო უკეთ მოვემზადოთ, ვიდრე 2015 წელს. ეს მატჩები ამ მზადების უდიდესი ნაწილია. ეს სწორედ ის ფაქტია, რაზეც წარსულში ვერც კი ვიოცნებებდით, ახლა კი მთელი გუნდი, მოთამაშეები და ქართულ რაგბიში ჩართული თითოეული ადამიანი, ამ შესაძლებლობით აღფრთოვანებულია“.

მსოფლიო თასისთვის მოსამზადებელ ეტაპზე „ბორჯღალოსნებთან“ შეხვედრას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს შოტლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გრეგ თაუნსენდი:**

„2019 წლის მსოფლიო თასამდე 18 თვე რჩება და ჩვენი მზადებაც გეგმის მიხედვით მიდის. საქართველოს წინააღმდეგ გასამართი მოსამზადებელი მატჩები კიდევ ერთ შანსს მოგვცემს შევაფასოთ, თუ როგორ ფორმაში არიან მორაგბეები და გუნდში მოსახვედრად მოთამაშეებს თავის გამოსავლენად მეტ შესაძლებლობას მისცემს. საქართველოს ნაკრები მზარდი გუნდია, ამჟამად მსოფლიო რეიტინგში მე-12 ადგილზეა და წინსვლას განაგრძობს. მათ წინააღმდეგ თამაში ჩვენთვის კარგი გამოწვევა და დიდი პატივია“.

საქართველო შოტლანდიას პირველად 2011 წლის მსოფლიო თასზე, ახალ ზელანდიაში ეთამაშა და ლელო არ გაუშვა, თუმცა, გამარჯვება მეტოქეს დარჩა - 15:6. ორი წლის წინათ სქოთებს კილმარნოკში ორი ლელო გავუტანეთ, მაგრამ გამარჯვება ამ შემთხვევაშიც მასპინძლებს დარჩათ — 43:16.

კობა კობახიძე

◎ ძიუდო

მონაწილე - 12, მედალი - 6

რუმინულ კლუჟში დამთავრდა ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის თასის გათამაშება, რომელშიც საქართველოს 12 წარმომადგენლიდან ექვსმა მედალი მოიპოვა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ლუკა კაპანაძე (66) და ილია სულამანიძე (90), მეორე ადგილებზე გიორგი შერაზადიშვილი (81) და საბა ინანეიშვილი (+90) გავიდნენ, ბრინჯაოს მედლებს კი გიორგი იანტბელიძე (66) და ნიკა ხარაზიშვილი (90) დასჯერდნენ.

ჭაბუკებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ლუკა კაპანაძემ ხუთიდან ოთხი პაექრობა წმინდად მოიგო. ჯერ ჰადარ ბენ ბასატსა (ისრაელი) და კლაუდიუ ნაგუს (რუმინეთი) აჯობა, მერე ვაზარით სძლია იტალიელ ფლავიო ფრასკას; ნახევარფინალში მოლდოველ იონ ტონოფრეის და გადამწყვეტ პაექრობაში კიდევ ერთ მასპინძელს — პაულ ონოფრეის იპონით დააყრევინა ფარ-ხმალი.

სულამანიძემ ბულგარელი სტანისლავ სტეფანოვი და მოლდოველი იონ ბოტნარი ვადამდე დაჯაბნა, ნახევარფინალში თანაგუნდელ ნიკა ხარაზიშვილს ვაზარით გაუსწორდა, ხოლო ფინალში თურქი ფათიჰ აქეტი წმინდად დაამარცხა. ხარაზიშვილმა ხუთიდან მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმო სულამანიძესთან, დანარჩენ ოთხში კი იპონით გაიმარჯვა — ჯგუფში უნგრელი ივან ბოროში, მოლდოველი ალექსანდრუ გრადინარუ და თურქი აბდულაჰ სოლაკოღლუ ჩამოიშორა გზიდან, ბრინჯაოსთვის ორთაბრძოლაში კი ფრანგი კარლ-მორგან ილბერი დააიპონა.

შერაზადიშვილმა ქვეჯგუფში მოლდოველ სტანისლავ პოპაზს, ბელარუს კანსტანტსინ ჰაცუკსა და იტალიელ ალესიო გრაზიანის გამოუყვანა წირვა, ნახევარფინალში მათს გზას გაუყენა ხორვატი ტინ სტრაზა, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრა რუმინელ ალექს კრეტთან წააგო. ინანეიშვილმა სლოვაკ ბენჟამინ მატასეიეს, უკრაინელებს — იევჰენი ვერკუშსა და ანტონ პლაკოტნიკს გადაუღობა „ოქრო-ვერცხლისკენ“ მიმავალი გზა, თუმცა, ფინალი თურქ ომერ აიდინთან თავადაც დათმო წმინდად.

იანტბელიძემ ქვეჯგუფში რუმინელ ნორბერტ დომუტას და უკრაინის სახელით მოასპარეზე თანამემამულე ბონდო უგრეხელიძეს იპონით სძლია, მაგრამ მერე მაკედონიელ ჰამზა იაშარისთან ვერაფერს გახდა. დამამშვიდებელში ჩვენებურმა ფრანგი კრეიგ დე ფრეიტა, იტალიელი სამუელ სალვო, მოლდოველები - ალექსანდრუ დინტუ და იონ ტონოფრეი დაამარცხა და მესამე ადგილი დაიკავა.

ლაშა დიდია

◎ მძლეოსნობა

საგზურების მოლოდინში

კიშინიოვში გამართულ ახალგაზრდა მძლეოსანთა მოლდოვის ღია პირველობაზე 18-წლამდელთა შორის თბილისელებმა — 800 მეტრზე რბენაში ლუკა გოგილაშვილმა (1.57, 5), შუბის მტყორცნელმა გიორგი მარუტიანმა (59,6 მ) და სიგრძეზე მხტომელმა გიორგი კარდაშიანმა (6,98 მ) ოქროს მედლები მოიპოვეს. მათ არ უასპარეზიათ 2001-2002 წლებში დაბადებულთა თბილისის ღია პირველობაში, რომელშიც კარგი შედეგები აჩვენეს ქუთაისელმა სიმაღლეზე მხტომელებმა — დემეტრე ლაბაძემ და ლუკა ივანეიშვილმა, 100 მეტრზე მორბენალმა ხობელმა ლუკა გულუამ და თბილისელმა მედეა შონიამ, რომლებსაც 18-წლამდელთა ევროპის პირველობის სალიცენზიო ნორმატივების შესასრულებლად მცირედი დააკლდათ. სამაგიეროდ, გიორგი კეკიშვილმა დაიბევა უროს ტყორცნაში ევროპული საგზური. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტურნირში უკონკურსოდ გამოდიოდა 10 წლის მეგი შონია, რომელიც ჭოკით 2,20 მეტრ სიმაღლეზე გადახტა.

19-20 მაისს მძლეოსანთა საქართველოს ჩემპიონატი მოეწყობა, რომელშიც ზემოთ დასახელებული ახალგაზრდები ევროპული ნორმატივების შესასრულებლად იბრძოლებენ. რაც შეეხება დედაქალაქის პირველობას, აქ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:

გოგონები

100 მ. მედეა შონია (თბილისი, 13,26), **200 მ.** დალი წივწივაძე (ქუთაისი, 28,55), **400 მ.** დალი წივწივაძე (1.06,76), **800 მ.** ნინო ბოლქვაძე (ვანი, 2.39,6), **110 მ/თარჯებით.** ბელა ჭკადუა (14,8); **სიგრძეზე ხტომა.** მედეა შონია (5,01), **ჭოკით ხტომა.** სალომე ინჯგია (თბილისი, 3,10); **სამხტომი.** თაკო ბაგაშვილი (თბილისი, 8,80); **ბირთვი.** ნინო კვარაცხელია (ზუგდიდი, 9,58), **ურო.** მარი აბუაშვილი (თბილისი, 51,80); **შუბი.** ანა ჩოხელი (თბილისი, 38,32).

ვაჟები

100 მ. ლუკა გულუა (ხობი, 11,50), **200 მ.** ლაშა კირკიტაძე (ქუთაისი, 23,96), **400 მ.** ნიკა აფხაძე (თბილისი, 1.01,14), **800 მ.** მიშიკო მახარაძე (ოზურგეთი, 2.29,97), **110 მ/თარჯებით.** მაქსიმ მარდასოვი (თბილისი, 16,57), **სიგრძეზე ხტომა.** ტარიელ ჩიქოვანი (აჭარა, 5,32), **ჭოკით ხტომა.** მიხეილ ცანავა (თბილისი, 4,40), **სიმაღლეზე ხტომა.** დემეტრე ლაბაძე (ქუთაისი, 190 სმ), **სამხტომი.** ტარიელ ჩიქოვანი (11,94), **ბირთვი.** დათო ხოზრევანიძე (ხონი, 13,24), **ურო.** გიორგი კეკიშვილი (თბილისი, 72,08); **შუბი.** ირაკლი ჟორჟოლიანი (ქუთაისი, 38,60); **ბადრო.** საბა ზებედაშვილი (თბილისი, 42,13).

ლექსო ცინცაძე

◎ პატივგება

„ძიუდოს პაპის“ საღიდებელი

გამარჯვების დღეს დაბადებულს უფალმა წარმატებებით თანამემამულეთა განებივრება და ქართული ძიუდოს რეფორმატორობა დაანათლა.



დიახ, სწორედ რეფორმატორობად უნდა შეფასდეს ის უდიდესი წვლილი, რომელიც ბიძინა მაზიაშვილმა იაპონელთათვის რელიგიად მიჩნეული სპორტის აღნიშნული სახეობის განვითარებაში შეიტანა იქაურ კოლეგებთან ერთად, რისთვისაც სიყვარულით „ძიუდოს პაპა“ შეარქვეს.

მადლიანი ქიზიყის სოფელ ზემო მაჩხაანის მკვიდრს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ძიუდოში ქართული ჭიდაობის ილეთების ინტეგრირებით მან ტატამის უამრავი დიდოსტატი გამოძერწა, რომლებსაც მშობლის სადარი ამაგი გაუწია მათთვის საკუთარ კერად ქცეული აღმზრდელის „ხრუშჩოვკის“ ტიპის საცხოვრისში.

სამამულო ძიუდოს ფუძემდებელმა საქართველოს ნაკრებს 20 წლის განმავლობაში უთავკაცა, საამაყოდ კი ოლიმპიურ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა შთამბეჭდავი გალერეა დაგვიტოვა.

მეოცე საუკუნის საუკეთესო ქართველ მწვრთნელთა ათეულის ღირსეულ წევრს განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებდა ჟურნალისტთა საძმოსთან. კალამი არ დაგიჩლუნგდეთო — ჩვეული სითბოთი მიმართავდა კალმოსნებს მათი უფროსი მეგობარი.

ეტყობა, სასიქადულო მამულიშვილის ეს მითითება გამორჩეულად **დავით ჭელიძემ** გაითვალისწინა, რომელმაც ამ დღეებში სახელოვანი წინამორბედის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი მოგონებების კრებული მოამზადა და გამოსცა სახელწოდებით „ქართული ძიუდოს პატრიარქი ბიძინა მაზიაშვილი“. ეს გახლავთ წიგნი-პორტრეტი საქმეზე უკიდეგანოდ გადაგებულ ადამიანზე, ვისაც რუდუნებით იგონებენ მისი ტიტანური ღვაწლის დამფასებლები. სხვათა შორის, მათმა ნაწილმა ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირში გამართულ წარდგინება-საღამოზეც გამოხატა გულის ნადები.

მადლობის მეტი რა გვეთქმის ღონისძიების ორგანიზატორთა და ნაშრომის ავტორის მიმართ, რომელმაც მე-11 ნაწარმოებით გაგვახარა.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

სილამაზე უზბეკთა მიწიდან

უზბეკი მოდელი, მოცეკვავე, მსახიობი და ყოფილი მეჩოგნე გულნარა ქოსიმოვა მთელ შუა აზიაში ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ასულია და ევროპაში ფერადყდიანი ჟურნალი არ დარჩენილა, რომელმაც იგი თავის გვერდებზე არ გამოჭიმა და ამით გული არ გაუხარა ყოველთა უზბეკთა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ეშხიანი მდედრი ძირითადად ევროპასა და რუსეთში მოღვაწეობს, სამშობლოშიც ხშირად ჩადის და იქაურ ლამაზმანებს დიდი მოდისკენ უკვალავს გზას, რაც ცხადია, დიდი და საშური საქმეა.

არადა, საბჭოთა კავშირს დღემდე რომ ეარსება, ეს ხელიხელსაგოგმანები ტურფა, ალბათ, სადმე ბამბის სართავ ფაბრიკაში იქნებოდა დასაქმებული, სადაც საკუთარი ხელით მოქსოვდა უხარისხო საწმერთულებს და საღამოს დიდი მონდომებით დაელოდებოდა კაპიტალისტური ქვეყნების ფილმებს, პროგრამა „ვრემიას“ დასრულების შემდეგ...

როსტომ რაჭველიშვილი

კახეთში სეტყვასაშიში ღრუბლის მასები განეიტრალდა

ბუნებრივ მოვლენებზე აქტიური ზემოქმედების ცენტრის მიერ 8 მაისს კახეთის რეგიონში, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის საშუალებით რეგიონი სამხრეთ მიმართულებიდან შემომავალი სეტყვასაშიში ღრუბლის მასები განეიტრალდა, საერთო ფართობით 565 კვადრატული კილომეტრი, გასროლილი იქნა რამდენიმე ათეული სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტა.

8 მაისს დღის მეორე ნახევარში ფრონტალური ღრუბლის მასები სამხრეთ მიმართულებიდან შემოვიდა, კრიტიკულ ეტაპზე სეტყვის მოსვლის ალბათობამ 80-100% შეადგინა, მოსალოდნელი მარცვლების ზომა 23 მმ იყო.

18:09 საათიდან 22:40 საათამდე ღრუბლის მასები რამდენიმე ეტაპად დამუშავდა.

აქტიური ზემოქმედების შედეგად ნალექის სრული მასა ექვსივე რაიონში წვიმის სახით ჩამოიცალა.

სტიქიამ კისისხევი და წინანდალი დააზარალა

სეტყვა თელავის მუნიციპალიტეტში — სტიქიამ სოფლები კისისხევი და წინანდალი დააზარალა.

ადგილობრივების ინფორმაციით, სტიქია დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში გაგრძელდა.

თელავის მერის შოთა ნარეკლიშვილის ინფორმაცით, სტიქიის მასშტაბები მცირეა და ზარალის ზუსტი ოდენობის დასადგენად შესაბამისი კომისია იმუშავებს.

შეგახსენებთ, რომ სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარი კახეთში 1 მაისიდან ამოქმედდა.

დიდუბეში სამი პირი ფულის გამოძალვის ბრალდებით დააკავეს

სპეცოპერაცია დიდუბეში — სავაჭრო ცენტრ „მეგალაინის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, აგლაძის ქუჩაზე, არსებული ინფორმაციით, სამი პირი ფულის გამოძალვის ბრალდებით დააკავეს.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები და შს სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლები.

ნარკორეალიზატორობის ბრალდებით დაკავებულებს სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა

ინტერნეტის საშუალებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზების ფაქტზე დაკავებულ გიორგი გოგებაშვილსა და ნინო გეგელაშვილს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა ბრალდებულებულების მიმართ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე არ დააკმაყოფილა. ადვოკატი ითხოვდა, რომ ბრალდებული გიორგი გოგებაშვილი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დარჩენილიყო, ხოლო ნინო გეგელაშვილი 10-ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებულიყო. პროკურატურა კი ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა, რასაც მიმალვის საფრთხის, გამოძიებისთვის ხელის შეშლისა და მტკიცებულებების მოპოვებაში ხელის შეშლით ასაბუთებდა.

მამაკაცს, რომელმაც ცოლს ხალხმრავალ ადგილას სცემა, 6-თვიანი პატიმრობა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მეუღლის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ბრალდებული ი.ჩ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 23 იანვარს ი.ჩ.-მ მეუღლეს — ლ.ქ.-ს ქუჩაში, ხალხმრავალ ადგილას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. დაზარალებულმა მიყენებული დაზიანებებისგან გონება დაკარგა, თუმცა ი.ჩ. მაინც აგრძელებდა მის ცემას. ი.ჩ.-ს დანაშაულებრივი ქმედებით, ლ.ქ.-ს სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიადგა.

სამართალდამცველებმა ი.ჩ. 2018 წლის 23 იანვარს ქ. თბილისში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი) წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ი.ჩ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

მარტვილის მუნიციპალიტეტში უკანონო სახერხი საამქროები გამოვლინდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ, მარტვილის მუნიციპალიტეტში გატარებული პრევენციული ღონისძიების შედეგად, 2 უკანონო სახერხი საამქრო და სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის 6 ფაქტი გამოვლინდა.

ამოღებულია რცხილასა და კრიპტომერიის სახეობის დაუფირნიშებელი მორები და უკანონოდ მოპოვებული 5 მ3 პირველადი გადამუშავების პროდუქტი — ფიცარი.

სამართალდარღვევებთან დაკავშირებით შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ 12 ოქმი, რომლებიც ითვალისწინებენ საჯარიმო სანქციებს 1000-დან 2000 ლარამდე.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის ორგანოს გადაეგზავნა.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

ა უ ქ ც ი ო ნ ს

მის ბალანსზე რიცხული, 110 კვ-იანი ქვესადგური „საგარეჯო-1“-ს ტერიტორიაზე განთავსებული, უფუნქციო ხის კოტეჯის აუქციონის წესით, გაყიდვის მიზნით.

აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის — 2-510-281; მობილურის 577 240-233

გუდაურში – ექსტრიმი ყველაზე გაბედული ტურისტებისთვის და... ბათუმში – არგონავტების ნაკვალევზე

ევროპული სამაუწყებლო ტელეკომპანია EuroNews-მა (მთავარი ოფისი – ლიონი, საფრანგეთი) ეთერში გადასცა სიუჟეტი საქართველოში ტურიზმის მდგომარეობის შესახებ, კერძოდ კი – გუდაურის სამთო-სათხილამურო კურორტის თაობაზე.

„დიდი კავკასიონი – ევროპის მთათა სისტემაში ყველაზე მაღალ ქედს წარმოადგენს. ახლა, აპრილის ბოლოს, ჩვენ გუდაურში ვიმყოფებით, რომელიც საქართველოში ყველაზე ცნობილი და პოპულარული სამთო კურორტია. აქ სათხილამურო ტრასები 3 ათას მეტრზე იწყება, ტურისტული სეზონი კი დეკემბრიდან აპრილის ბოლო რიცხვებამდე გრძელდება. გუდაური განთქმულია თოვლის ხარისხით, ხოლო მის ინფრასტრუქტურას რესპუბლიკაში ანალოგი არა აქვს. ნინო ტყავაძე აქ რეგულარულად ჩამოდის: „გუდაური საქართველოს განთქმული სამთო-სათხილამურო კურორტია. ახლოა თბილისთან, რაც კომფორტულობას მატებს. ვფიქრობ, მას განვითარების დიდი პოტენციალი აქვს, აქაური მთების მონაცემების გათვალისწინებით“, – ამბობს იგი.

„თბილისიდან გუდაურში ამოსვლა სულ რაღაც ორი საათის განმავლობაში შეიძლება. გუდაურში არსებული ტრასების საერთო სიგრძე 70 კილომეტრს აღწევს. აქ არის უდიდესი შესაძლებლობები ფრირაიდის მოყვარულებისათვის და ექსტრიმი ყველაზე გაბედული ტურისტებისთვის“, – აღნიშნულია მასალაში.

* * *

„EURONEWS“-ის ეთერში გადაცემული კიდევ ერთი ვიდეოსიუჟეტი საქართველოს „შავიზღვისპირეთის მარგალიტს“ – აჭარას და ბათუმს ეძღვნება. „ბათუმის ცაში, არგონავტთა ნაკვალევზე“, – ასეთი სათაური აქვს ვიდეოსიუჟეტს, რომელშიც ნათქვამია:

„ბათუმი აჭარის ადმინისტრაციული ცენტრია, საქართველოს ერთ-ერთი დიდი ქალაქი, ქვეყნის ყველაზე პოპულარული შავიზღვისპირა კურორტი და ნავსადგური. საბაგირო გზა „არგოს“ მეშვეობით ანურიას მთაზე ახვალთ, ზღვის დონიდან 2500 მეტრ სიმაღლეზე. აქედან თქვენ ბათუმის თვალწარმტაცი ხედით დატკბებით.

ბათუმი პირველად ჩვენს ერამდე მე-4 საუკუნეში მოიხსენიება. მისი ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ძველ ბერძნულ მითებთან იაზონისა და არგონავტების შესახებ. დღეს ბათუმი დინამიკურად განვითარებული ტურიზმის, გართობისა და ვაჭრობის ცენტრია, რომელსაც შესანიშნავი პერსპექტივა აქვს.“

ბათუმელი ლია ფუტკარაძის თქმით, **„საბაგირო გზა ბათუმის დათვალიერების კარგი საშუალებაა, საიდანაც მთები და შავი ზღვა მოჩანს“.**

„ქალაქის პანორამით რომ დატკბებით, მთიდან დაშვებას ნუ იჩქარებთ: იქ თქვენ მრავალი გასართობი გელოდებათ, ცოცხალი სიმღერები, მუსიკა და ქართული ეროვნული სამზარეულოს საუკეთესო კერძები“, – აღნიშნავს დენის ლოკტევი.

„EURONEWS“

◎ საქართველო-ღვინის სამშობლო

ჯერ კიდევ 8000 წლის წინათ ამზადებდნენ ამ სასიამოვნო სასმელს

„კავკასიის ქვეყნები სულ უფრო მეტად ესწრაფვიან უცხოელი სტუმრების მიღებას და შესაბამისად, საერთაშორისო ტურიზმის ცენტრში ექცევიან: **„თქვენ გაოცებული დარჩებით ქართული უძველესი კულტურისა და ტრადიციების მრავალფეროვნებით“**, – გვეუბნება ჩვენი ექსკურსიამძღოლი ირინა, თბილისის აეროპორტიდან დედაქალაქში მიმავალ ავტობუსში მჯდომთ. სარკმლიდან სხვადასხვა ეპოქის შენობები მოჩანს, რაც ამ პატარა ქვეყნის მდიდარ ისტორიაზე მიუთითებს. როცა მეფე ვახტანგ გორგასალმა მე-5 საუკუნეში თბილისი დააარსა და ქვეყნის დედაქალაქად გადააქცია, საქართველო რომის იმპერიის გავლენის ქვეშ იყო. შუა საუკუნეებში ქვეყანას თავს ხშირად ესხმოდნენ არაბები, თურქ-სელჯუკები, სპარსელები და ოსმალოები... აქ ყველამ თავისი კვალი დატოვა“, – აღნიშნულია ავსტრიული გამოცემის, „Kronen Zeitung“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ კარლ გრამერის ავტორობით გამოქვეყნებული მასალის რეზიუმეს:

„ნარიყალას ციხე-სიმაგრემ ბევრ ეპოქას გაუძლო. თუ ის ადრე მიუდგომელი იყო, დღეს საბაგირო გზის მეშვეობით იოლად „ვიპყრობთ“. საბაგირო გზის ვაგონიდან ქალაქის ულამაზესი ხედი იშლება – ძველი და თანამედროვე შენობები, მტკვარი და მასზე გადებული „მშვიდობის ხიდი“, მეტეხის ტაძარი... ქალაქს ზემოდან „ქართვლის დედა“ გადმოჰყურებს, რომელსაც ერთ ხელში მტრისთვის მახვილი უჭირავს, მეორეში კი მოყვრისთვის – თასი“.

ავტორი მკითხველს ღვინის ქართულად დაყენების ტრადიციებსაც აცნობს: **„ჩვენ მუხრანში ვართ. საქართველო ღვინის სამშობლოდ ითვლება: აქ ჯერ კიდევ 8000 წლის წინათ ამზადებდნენ სასიამოვნო სასმელს ვაზის ნაყოფისაგან – ყურძნისაგან. ამას გათხრების დროს აღმოჩენილი უძველესი ღვინის ჭურჭლები – ქვევრებიც ადასტურებენ, რომლებიც ჯერ კიდევ ჰომეროსს, აპოლონიუსს და ქსენოფონტეს აქვთ მოხსენიებული. ქვევრი იუნესკოს მიერ კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი“.**

„KRONEN ZEITUNG“
(ავსტრია)

გინდვეთ „ახალი ბანა“

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 2018 წლის 11 მაისს, 12:00 საათზე გაიმართება ბანას ტაძრისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენციას გახსნის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი **როინ მეტრეველი.**

მომხსენებლები: **„ახალი ბანას საგანმანათლებლო და კულტურული მისია“ – სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსი სვიმეონი;**

„ბანა - პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და საეკლესიო ცენტრი“ – პროფესორი ბუბა კუდავა;

„ბანას საკათედრო ტაძარი და ოშკის ფრესკა“ – პროფესორი ზაზა სხირტლაძე;

„ახალი ბანას“ არქიტექტურა – არქიტექტორი ლევან ჯანხოთელი.

მისამართი: რუსთაველის გამზ. 52; პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზი; მე-3 სართული.

ტკბილეულის ნაცვლად „კროტი“

ფოთში არასრულწლოვანმა ქიმიური საწმენდი ნივთიერება „კროტი“ შეჭამა. არსებული ინფორმაციით, ბებიამ ექვსი წლის შვილიშვილისთვის ტკბილეული შეიძინა, თუმცა გამყიდველს შეფუთვა შეეშალა და ქალს სადეზინფექციო ნივთიერება „კროტის“ გრანულები მიჰყიდა.

არასრულწლოვანი თავდაპირველად ქალაქის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს, შემდეგ კი იაშვილის სახელობის კლინიკაში რეანიმობილით გადაიყვანეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4495; ევრო - 2.9098;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3107;
100 რუბლი - 3.8756; თურქული ლირა - 0.5714;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4445;
1000 სომხური დრამი - 5.0505.

ამინდი 11 მაისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +10, დღე +15
მთიანი რაიონები - ღამე +6, დღე +21
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +13, დღე +23
მთიანი რაიონები - ღამე +8, დღე +20
თბილისი: ღამე +14, დღე +24

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge